ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba
akhalitaoba.ge

ორშაბათი, 18 ნოემბერი, 2019 — №273 (8227) — ფასი: 60 თეთრი

## მამაკაცმა ათენის 20 ნომერში ჯერ დედა და და მოკლა, შემდეგ კი თავი მოიკლა



გარდაცვლილები არიან და-ძმა თაკო და ლევან აბაშიძეები და დედა ირინა გედევანიშვილი

გვ.5

# კოტე კემულარია: „ქვეყანა საომარი მდგომარეობის ზღვარზეა“

გვ.2




„ყველა პარტიამ მხარი დაგვიჭირა, რომ ოქრუაშვილი და სხვა პოლიტპატიმრები უპირობოდ უნდა გათავისუფლდნენ“

„ოპოზიციის ერთად დგომა არის სრული და ძალიან სასიამოვნო სიახლე, რომელმაც უნდა გადაგვარჩინოს“




## გრიგოლ ვაშაძე: „ვიწყებთ პარლამენტის მთლიანად პიკეტირებას, „ოცნებას“ გავხევთ ნაკერავზე!“



გვ.2

## თაკო ჩარკვიანი: „ბურჯანაძეს არ ეგონოს, რომ სამომავლოდ ერთად ვიქნებით“

გვ.3



„ჩვენ მხოლოდ უზურპატორი ბიძინას წინააღმდეგ გავერთიანდით“



## სანდრო ბრეგაძე: „პრემიერმა კვირიკაშვილმა პატრიარქის ქება ამიკრძალა და მთავრობიდან იმიტომ წამოვედი“

გვ.3



## თამარ ჩხეიძე: „ვინ დაიჯერებს, რომ რამდენიმე მონამ მოაწყო ამბოხი?!“

გვ.4

## სოსო ცინცაძე: „ივანიშვილი არანაირ დათმობაზე წასვლას არ აპირებს“

გვ.4



ISSN 1987-9385
9 771987 938006

5 ბექა კვიციანს პატიმრობა შეეფარდა

2 ილია მეორემ რუსეთის პატრიარქ კირილს წერილით მიმართა

5 კიევში ისლამური სახელმწიფოს ერთ-ერთი ლიდერი, ცეზარ ტოხოსაშვილი, ალ ბარა შიშანი, დააკავეს

6 პრაღაში პრემიერ ბაბიშის გადადგომა მოითხოვეს — მასობრივ აქციაში 300.000 კაცი მონაწილეობდა

# კოტე კემულარია: „ქვეყანა საომარი მდგომარეობის ზღვარზეა“

## „ყველა პარტიამ მხარი დაგვიჭირა, რომ ოქრუაშვილი და სხვა პოლიტპატიმრები უპირობოდ უნდა გათავისუფლდნენ“

იაგო ნაცვლიშვილი



მას შემდეგ, რაც „ქართულმა ოცნებამ“ ჩააგდო საკონსტიტუციო ცვლილებები პროპორციულ სისტემაზე გადასვლის თაობაზე, ოპოზიციური პარტიები და საზოგადოების ნაწილი ქუჩაში გამოვიდა და აქციები დაიწყო. ოპოზიციური პარტიები პარალელურად კონსულტაციებს მართავენ ერთმანეთში. ოპოზიციამ კომპრომისული ნაბიჯი გადადგა და ხელისუფლებას ე.წ. გერმანული მოდელი შესთავაზა, რაც ასევე ტოვებს ძალაში მაჟორიტარულ არჩევნებსაც, თუმცა, ოპოზიციის თქმით, ბევრად უფრო სამართლიანია.

განსხვავებაა ისიც, რომ ამ მოდელზე გადასასვლელად საკონსტიტუციო ცვლილებები საჭირო არ არის და საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებები საკმარისია. რაც იმას ნიშნავს, რომ თუ პროპორციულ სისტემაზე გადასასვლელად მინიმუმ 113 ხმა იყო საჭირო, ამ ცვლილების შემთხვევაში 76 ხმა საკმარისია.

ამის მიუხედავად, მმართველი გუნდი ამისიც წინააღმდეგია და აცხადებს, რომ ეს ჩვენს კონსტიტუციას ეწინააღმდეგება. ეს კი იმაზე მიანიშნებს, რომ საკონსტიტუციო ცვლილება არა „ურჩმა“ მაჟორიტარებმა ჩააგდეს, არამედ მათ ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ ლიდერშიპის დავალება შეასრულეს.

რით განსხვავდება დღევანდელი სისტემისგან ე.წ. გერმანული მოდელი, გარდა ამ მოდელისა, კიდევ რაზე შეთანხმდნენ ოპოზიციური პარტიები, რატომ არ ელოდნენ, რომ ივანიშვილი „გადააგდებდა“ და რატომ ითხოვენ ვადამდელ არჩევნებს? – ამ და სხვა საინტერესო საკითხების შესახებ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „გამარჯვებული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი კოტე კემულარია საუბრობს.

***– ოპოზიცია ამბობთ, რომ შეთანხმდით ე.წ. გერმანულ მოდელთან დაკავშირებით, მაგრამ არის ეს ის, რასაც მთელი ამ ხნის განმავლობაში ითხოვდით თუ უბრალოდ ხელისუფლებასთან კომპრომისზე მიდიხართ?***

– დღეს შექმნილია ძალიან სახიფათო სიტუაცია, რომელიც შექმნა თვითონ ბიძინა ივანიშვილმა თავისი უმაქნისობითაც, უმოქმედობითაც, უცოდნრობითაც, უგუნურებითაც და სახელმწიფო მართვის უუნარობითაც. მან შექმნა ქვეყანაში ის სიტუაცია, რაც დღეს გვაქვს – ვხედავთ, როგორია უმუშევრობისა და სიღარიბის დონე ქვეყანაში, ბავშვები შიმშილობენ, საგარეო ორიენტაციისა და დემოკრატიის მხრივ რა ვითარებაცაა, ამასაც ვხედავთ. ამისთვის მარტო ანაკლიის, პოლიტპატიმრებისა და 20 ივნისის ღამეც კმარა. ვხედავთ, ბიზნესისა და მედიის მფლობელების მიმართულებით რა პოლიტიკასაც აწარმოებს.

უბრალოდ, სისხლიანი 20 ივნისი მოაწყო, მაშინ როდესაც იყო ანტისაოკუპაციო აქცია. ამ დროს მან დაიჭირა ახალგაზრდები, შემდეგ კი თავისი ჭკუით ვითომ გამოსავალი იპოვა და საზოგადოებას დაჰპირდა პროპორციულ არჩევნებს.

ამან შექმნა სიმშვიდის გარემო იმ თვალსაზრისით, რომ პარტიებმა დავიწყეთ მომზადება ამ არჩევნებისთვის, რომელიც, ასე თუ ისე, მისაღები იყო, რომ საარჩევნო ცვლილებებთან ერთად არჩევნების გზით შეგვეცვალა ხელისუფლება.

***– არ ელოდით ივანიშვილისგან, რომ შესაძლოა „გადაეგდეთ“?***

– ივანიშვილისგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი, მაგრამ ვინაიდან ამჯერად ის მთელ საერთაშორისო საზოგადოებას დაჰპირდა, ხაზს ვუსვამ, მთელ საერთაშორისო საზოგადოებას, ნაკლებად სავარაუდო იყო, რომ ამას გააკეთებდა. ამ დაპირებამ გაეროს ტრიბუნაზეც კი გაიჟღერა. ჩვენ ვესაუბრებოდით საერთაშორისო პარტნიორებს და ისინიც გვარწმუნებდნენ, ქვეყანა დემოკრატიული მიმართულებით ვითარდება, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაერთიანება უნდა და როგორ მოიტყუებაო.

ამას გვეუბნებოდნენ ჩვენი პარტნიორები მათ შორის ევროპარლამენტშიც და სხვა სტრუქტურებშიც, ძალიან ძლიერი საერთაშორისო ექსპერტები. არავის სჯეროდა, რომ ეს კაცი ასეთ რაღაცაზე წავიდოდა.

ახლა კი გვეუბნებიან, რომ თურმე ეს დაჩი ბერაიამ და ხუნდაძემ გააკეთეს. ასეთი უტიფრობა მართლა მოულოდნელი იყო. ალბათ 1% იყო იმის ალბათობა, რომ მთელი გუნდი ამაზე წავიდოდა. ეს ხომ თავის მოჭრაა!

***– შესთავაზეთ ე.წ. გერმანული მოდელი ხელისუფლებას, მაგრამ ისინი აცხადებენ, ეს კონსტიტუციას არ შეესაბამებაო. რა პასუხი გაქვთ ამაზე და არის თუ არა ეს იმ ვითარების გაშიშვლება, რომ ეს ყველაფერი ივანიშვილმა დაგეგმა?***

– რა თქმა უნდა. ეს დაგეგმილი ნამდვილად არ იყო, მაგრამ მათ ბოლოს დაინახეს, რომ პროპორციულ არჩევნებში წააგებდნენ, მათ ნახეს კვლევები, რომელთაც თვითონ მუდმივად აწარმოებენ და დაინახეს, რომ კატასტროფული ვითარება აქვთ.

### „ოპოზიციის ერთად დგომა არის სრული და ძალიან სასიამოვნო სიახლე, რომელმაც უნდა გადაგვარჩინოს“

არჩევნების წაგება ივანიშვილისთვის იქნებოდა საშინელებათა ვერსიის ყველაზე ცუდი ვარიანტი. ის ამას თვლის იმიტომ, რომ ის ხომ დემოკრატი არ არის და არც პოლიტიკოსი და ვერ წარმოუდგენია, როგორ უნდა იცხოვროს ამ ქვეყანაში, როდესაც არ ექნება ძალაუფლება და არ ეყოლება საკუთარი უწყებები სუს-ის თუ შსს-ს სახით.

***– ანუ ის რეალურად გეგმავდა პროპორციულ სისტემაზე გადასვლას, მაგრამ, როდესაც კვლევებში ნახა კატასტროფული შედეგი, გადაწყვეტილება შეცვალა?***

– დიახ. ეს ჩანს კიდეც. იქიდანაც ჩანს, რომ უმრავლესობიდან გარბიან წევრები. თუ ვინმე იყო სერიოზული ადამიანი, გარბის. ვიცესპიკერები გარბიან, კომიტეტის თავმჯდომარეები გარბიან. აქ ხომ მარტო ოპოზიციაზე არ არის საუბარი! გუნდი ფაქტობრივად დაიშალა. მსოფლიოში ძალიან იშვიათია ასეთი შემთხვევა, რომ გუნდი ასე დაიშალოს რამდენიმე დღეში.

***– გუნდი დაიშალაო, ჯერ ვერ ვიტყვით, მაგრამ სახეები წავიდნენ.***

– დიახ და ამაშია „ქართული ოცნების“ პრობლემა.

რაც შეეხება თქვენს წინა კითხვას, რომ გერმანული მოდელი ჩვენს კონსტიტუციასთან წინააღმდეგობაშია, რასაც ბლუყუნა დეპუტატები აცხადებენ, ასეთი წინააღმდეგობა კონსტიტუციაში არ არსებობს.

კონსტიტუციაში არის მხოლოდ ჩანაწერი, რომ 77 დეპუტატი პროპორციული სიით უნდა აირჩეს, ხოლო 73 დეპუტატი – მაჟორიტარული წესით. აქ ჩვენ არაფერს ვცვლით, ეს მოდელი რჩება უცვლელად. უბრალოდ, გერმანული მოდელი ის არის, რომ საარჩევნო კოდექსში შევა ცვლილება, რომლის მიხედვითაც ნარჩუნდება ეს წესი, მაგრამ ისე აღარ მოხდება, რომ ყველაფერი მიაქვს მოგებულ პარტიას და ეს მოდელი არ იმუშავებს. ამიტომ არის ევროპის ერთ-ერთი მიღწევა გერმანული მოდელი.

***– ანუ გადაუნაწილებელ მანდატებს ველარ წაიღებს გამარჯვებული პარტია და ამ მხრივ შექმნილი დისბალანსის ნაცვლად თანაბრად გადანაწილდება ეს გადაუნაწილებელი მანდატები?***

– დიახ, გადაუნაწილებელ მანდატებზეა საუბარი და გამარჯვებული პარტია ყველაფერს ველარ წაიღებს, ანუ ეს იძლევა შესაძლებლობას, რომ მრავალპარტიული პარლამენტი მივიღოთ და ისევ იქნება კოალიციური მთავრობის შექმნის შესაძლებლობა.

***– თუმცა ამ გერმანული მოდელით რჩება მაჟორიტარული არჩევნები. ხელისუფლებას აქვს დიდი რესურსი – ფინანსური, ადმინისტრაციული და ა.შ. ამავე დროს, ეცდება, რომ რაღაცნაირად გახლიჩოს ოპოზიცია.***

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# გრიგოლ ვაშაძე: „ვიწყებთ პარლამენტის მთლიანად პიკეტირებას, „ოცნებას“ გავხევთ ნაკერავზე!“



– არ ვიშლებით და ვიწყებთ პარლამენტის მთლიანად პიკეტირებას, იმიტომ, რომ ამ ორგანომ დაკარგა თავისი ფუნქცია. ამ ღამეს გამოჩნდება, რისი გამკეთებლები ვართ, გავხევთ ნაკერავზე!

ასე მიმართა გუშინ, 17 ნოემბერს, პარლამენტთან მიმდინარე საპროტესტო აქციაზე ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა გრიგოლ ვაშაძემ ხალხს.

მისი თქმით, „ქართული ოცნების“ დეპუტატები, მთავრობის წარმომადგენლები და თანამდებობის პირები მომავალში პასუხს აგებენ ყველაფერზე, რაც ხდება.

– ოპოზიციის ოთხი მოთხოვნა იცით. ვადამდელი პროპორციული არჩევნები, ხომ გინდათ? კრიმინალური დაჯგუფება, რომელიც თავის თავს ეძახის მთავრობას, უნდა გადადგეს და მოვიდეს ხალხის ნდობით აღჭურვილი მთავრობა, ხომ გინდათ? ახალი წესით სამოქალაქო საზოგადოების მიერ დაკომპლექტებული ცესკო, რომ ეს კორუმპირებული, ნეპოტისტებით გავსებული ორგანო გავწმინდოთ და ხალხის სამსახურში დავაბრუნოთ, ხომ გინდათ? პოლიტპატიმრების გათავისუფლება, უპირობოდ, მყისიერად, სასწრაფოდ, ხომ გინდათ? ვაჟა გაფრინდაშვილის, რუსი ნაცისტების ტყვეობიდან გამოხსნა ხომ გინდათ? ჩვენი გმირი ექიმი, რომელიც გადავიდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე, გადავიდა ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად და ესენი თამაშებს გვეთამაშებიან და სუს-ი ოპოზიციას დასდევს.

ერთი ადამიანი დგას აქ, რომელმაც შვიდი წლის განმავლობაში რამე იხეირა, თუ არა ფარცხალაძისა და მსგავსი დაჯგუფების წევრმა?! ის ხალხი აქ არ დგას, ისინი ახლა თბილ კაბინეტებში სხედან და ათასი პოლიციელი რომ ჰყავთ შეყვანილი პარლამენტში, იმათ ზურგს უკან ცდილობენ დამალვას.

პოლიციას მინდა ვუთხრა, ბიჭებო, ყველაფერი იცვლება, ხომ იცით, თქვენ ხალხის სამსახურში ხართ, ამათ სამსახურში არ ხართ, კარგად დაფიქრდით, გავრილოვის ღამე აღარ გაიმეოროთ.

გუშინ ღამე გავათენე აქ და ბევრმა მითხრა, რა კარგი სიტყვები იყო, გავხევთ ნაკერავზეო. „ქართული ოცნების“ ნაკერავზე გახევის პროცესი კიდევ უფრო სასიამოვნო იქნება. არსად არ ვიშლებით და, ვისაც ერთი ადგილი აქვს, ვიწყებთ პარლამენტის პიკეტირებას იმიტომ, რომ ამ ორგანომ დაკარგა მთლიანად ლეგიტიმაცია.

მინდა ვუთხრა, ახლა დასხედით, „იუთუბში“ ნიურნბერგის პროცესის ყურება დაიწყეთ და ნახეთ, რომ ამბობენ, ჰიტლერმა დამავალა და გავაკეთეო. არ გამოგივათ. მარტო ბიძინა ივანიშვილს ნუ ცდილობთ, დააბრალოთ ყველაფერი და ნურც მომავალში ეცდებით, რადგან თქვენ, როგორც დეპუტატები, როგორც მთავრობის წევრები, თქვენ როგორც თანამდებობის პირები, პასუხს აგებთ, მორალურს მაინც, – განაცხადა ვაშაძემ.

# სოფიო ქაცარავა დეპუტატის მანდატს ტოვებს

სოფიო ქაცარავა დეპუტატის მანდატს ტოვებს.

ამის შესახებ სოფიო ქაცარავა სოციალურ ქსელში წერს.

„დღეს ძალიან მძიმე გადაწყვეტილება მივიღე, თუმცა ჩემი გადმოსახედიდან ეს არის ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება, დავტოვო საპარლამენტო მანდატი. ყველას ძალიან დიდი მადლობა მინდა გითხრათ, წარმატებები ვუსურვო ჩემს ყოფილ თანაგუნდელებს და დიდი წარმატება და წინსვლა ჩემს ქვეყანას!“ – წერს ქაცარავა.

შეგახსენებთ, 14 ნოემბერს საქართველოს პარლამენტში პირველი მოსმენით კენჭისყრაზე ჩავარდა საკონსტიტუციო ცვლილების კანონპროექტი, რომელიც სრულად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლას ითვალისწინებდა.

კენჭისყრის შემდეგ უმრავლესობის რიგები 9 დეპუტატმა დატოვა, რომელთა შორის იყვნენ: სოფიო ქაცარავა, თამარ ჩუგოშვილი, გიორგი მოსიძე, დიმიტრი ცქიტიშვილი, ირინა ფრუიძე, თამარ ხულორდავა, მარიამ ჯაში, ზაზა ხუციშვილი და გიორგი ბეგაძე.



# ილია მეორემ რუსეთის პატრიარქ კირილს წერილით მიმართა

## „ასეთი ქმედება ძაბავს და ამწვავებს ვითარებას“



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე რუსეთის პატრიარქ კირილს მიმართავს.

„მოგესალმებით ქრისტესმიერი სიყვარულით და მოგმართავთ შემდეგი საკითხის გამო.

ჩვენ გულისტკივილით ვადევნებთ თვალს ცხინვალის რეგიონში, რუსეთის მხრიდან საზღვრის გადმოწევის და საზღვრისპირა ზონიდან ადამიანების გატაცების ფაქტებს, რასაც პერმანენტული ხასიათი აქვს.

ამჯერადაც ყველა შეშფოთებულია აღიარებული ქირურგის, ბატონ ვაჟა გაფრინდაშვილის ცხინვალის იზოლატორში დაკავების გამო. ასეთი ვითარება ჩვენ საზოგადოებაში სამართლიან დიდ უკმაყოფილებასა და პროტესტს იწვევს.

ამ ფონზე მეტად უარყოფითად იმოქმედა ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ აფხაზეთში, ცხინვალის რეგიონში, ყირგიზეთსა და არქტიკაში მყოფ რუსულ სამხედრო ნაწილებში 3 წლით ჯარის მეთაურების დამხმარეებად სურთ მოავლინოთ სასულიერო სასწავლებლების ახლად კურსდამთავრებული მოძღვრები.

რუსეთის ეკლესია ყოველთვის აღიარებდა და აღიარებს საქართველოს ეკლესიის იურისდიქციას, როგორც აფხაზეთში, ისე ცხინვალის რეგიონში. ამიტომაც ჩვენთვის გაუგებარია ამგვარი განაცხადი და იგი მძიმე მდგომარეობაში გვაყენებს ყველას.

საეკლესიო კანონიდან გამომდინარე, მიუღებელია ჩვენს ტერიტორიაზე ჩვენი ნებართვის გარეშე სხვა რომელიმე მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირთა გამოგზავნა. როგორც სამხედრო, ისე ჩვეულებრივ საერო სივრცეში სამოღვაწეოდ. ასეთი ქმედება ძაბავს და ამწვავებს ვითარებას.

ვიმედოვნებ, შესაძლებლობისამებრ მიიღებთ ზომებს ჩვენს სახელმწიფოთა, ხალხთა და ეკლესიათა შორის ურთიერთობების ნორმალიზებისათვის“, – აღნიშნულია მიმართვაში.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალაგაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www.akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სანდრო ბრეგაძე: „პრემიერმა კვირიკაშვილმა პატრიარქის ქება ამიკრძალა და მთავრობიდან იმიტომ წამოვედი“

## „მდინარაძემ ცოცხალი სააკაშვილი რომ დაინახოს, საზღვარზე ვერავინ მიასწრებს“

ნონა ცაბაძე

**ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ „ახალი თაობის“ კითხვებს „ქართული მარშის“ ლიდერი სანდრო ბრეგაძე პასუხობს.**

***– ბატონო სანდრო, აქციებმა მოიცვა თბილისი. რამდენად კრიზისული და სახიფათო სიტუაცია იქმნება ქვეყანაში, რატომ მიიყვანა „ოცნებამ“ საქმე აქამდე?***

– არსებობს ერთი შესანიშნავი ფილმი ადრიანო ჩელენტანოს მონაწილეობით, „ბლეფი“ ჰქვია, სადაც აღწერილია საოცარი შულერობა, რომელსაც იმდროინდელი იტალიელი შულერები ჩადიან. მე ვიყო გიგა ბოკერია, თუ გატყუებდეთ, იმათაც კი შემშურდებოდათ, ისეთი რამ ჩაიდინა „ქართულმა ოცნებამ“.

ასეთი ტიპის შულერობა არც წინა საუკუნეში და არც იმის წინა საუკუნეში ალბათ არავის განუხორციელებია. ეს არის ჩვეულებრივი თაღლითობა და გადაგდება. მარტო ჩვენი მოსახლეობა კი არა, მთელი მსოფლიო გადააგდეს. წარმოიდგინეთ, გაეროს ტრიბუნაზე გამოაცხადეს, გადავედით უკვე პროპორციულ არჩევნებზეო.

***– მაშინ რა შეიცვალა, გჯერათ იმ სცენარის, რომელიც განხორციელდა?***

– ახლა ის პროვინციული სცენარი, რომელიც დაიდგა, რომ ვითომდა დიმიტრი ხუნდაძე სპარტაკია და აჯანყება მოაწყო, ეს ძალიან სასაცილოა და ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. არადა, რეალურად ამ მაჟორიტარებს თავის პარტიის თავმჯდომარემ რომ უთხრას, ნუდისტები გახდით და შიშვლებმა იარეთ რუსთაველის გამზირზეო, კითხვასაც კი არ დაუსვამენ, რატომ უნდა გავხდეთ ნუდისტებიო, ისე გაიხდიან ტანსაცმელს და ისე დაიწყებენ შიშვლები სიარულს. ამიტომ ამის არავის არ სჯერა.

***– თქვენი ძირითადი მოთხოვნა პროპორციულ სისტემაზე გადასვლაა. ამ მოთხოვნით შეუერთდით პატრიოტთა ალიანსს?***

– ჩვენი მოთხოვნა, რა თქმა უნდა, პროპორციული არჩევნებია, ანუ იმ დანაპირების შესრულება, რომელიც ხელისუფლებამ ყველას მოგვცა და რომელიც მომავალი დემოკრატიული პარლამენტის გარანტიაა. თუმცა ამ აქციაზე არიან პარტიები, რომელთა მოთხოვნა ნამდვილად არ არის პროპორციული არჩევნები, რომელთა მოთხოვნაც, მიზანიც, სურვილიც და აუხდენელი ოცნებაც არის ის, რომ მოხდეს სახელმწიფო გადატრიალება და მიხეილ სააკაშვილი, გიგა ბოკერია, ბაჩო ახალაია, მეგის ქარდავა და სხვა კაციჭამიები და მკვლელები დააბრუნონ ხელისუფლებაში.

***– რატომ გაიყო ეს ორი აქცია? მოთხოვნები ერთი და იგივეა.***

– სწორედ ამიტომ გაიყო. ჯერ ერთი, მე ნამდვილად არ მაქვს არანაირი მორალური უფლება იმავე ჩემი მომხრეების წინაშე, იმავე ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე, რომ დავდგე იმ ადამიანების გვერდზე, რომლებიც ელგებეტე აქტივისტები და ელგებეტე პრაიდის ორგანიზატორები არიან. აგრეთვე იმ ადამიანებთან, რომლებიც ეკლესიის დაუძინებელი მტრები არიან. გიგა ბოკერიასა და მის გუნდზე მაქვს საუბარი, ასევე ცნობილ ნასედკებზე, ძმებ ბერძენიშვილებზე. სანდრო ბრეგაძე რომ მათ გვერდით დადგეს, მაშინ ჩათვალეთ, რომ ტყუილად მიცხოვრია.

***– მათაც რომ იგივე მიზანი აქვთ?***

– შეიძლება, არსებობდეს კეთილშობილური მიზანი, მაგრამ, რაც უნდა კეთილშობილური იყოს მიზანი, მათ გვერდით არ დავდგები. მათი მიზანი სულ სხვაა. ჩვენი მიზანი პროპორციული დემოკრატიული არჩევნებია.

***– ისინიც ამაზე საუბრობენ, მათი ოთხპუნქტიანი გეგმაც ამ მოთხოვნებს შეიცავს: ვადამდელი არჩევნები პროპორციული წესით, გერმანული მოდელი, ცსკოს ხელმძღვანელობის შეცვლა და პოლიტპატიმრების გათავისუფლება.***

– მათი მიზანია, ხელში ჩაიგდონ ხელისუფლება. მე გიგა ბოკერიასა და მიხეილ სააკაშვილისას არაფერს გავიზიარებ, რაც უნდა კეთილშობილურად ჩანდეს მათი მოთხოვნები.

ეს პირსისხლიანები ოდესმე დემოკრატები და ჰუმანურები გახდებიან?! ესენი თუ დაბრუნდნენ, ჰიჩკოკის ფილმები მოგონილი იქნება. ის, რომ ეს ხელისუფლება უვარგისია, ის, რომ ამ ხელისუფლებამ ხალხი მოატყუა, ნამდვილად არ ნიშნავს იმას, რომ ბაჩო ახალაია, მასტერა და სააკაშვილი უნდა დავაბრუნოთ ხელისუფლებაში.



**„ჩვენ პროპორციული არჩევნები გვინდა, სააკაშვილსა და ბოკერიას კი – რევანში“**

ჩვენ ვისთანაც ზნეობრივად არ გვაქვს დისკომფორტი, ეს არის პატრიოტთა ალიანსი. ამ 22 პარტიაში არიან ნინო ბურჯანაძე, აკაკი ასათიანი, ჩვენი დათო ჭიჭინაძე, კახა კუკავა, იგივე კოკო გამსახურდია, არ მინდა, ვინმე გამომრჩეს. ესენი ჩემი მეგობრები არიან, რომელთა პატრიოტიზმშიც ეჭვი არ მეპარება.

***– თუმცა აღმოჩნდნენ იმ მხარეს.***

– მე ესეც დროებითი მგონია, თუმცა არ მესმის მათი. როგორ შეიძლება, ესენი ერთად იდგნენ?! ნინო ბურჯანაძეს რუსეთის აგენტად აცხადებდნენ, თავად ბურჯანაძე მათ დამნაშავე ძალად აცხადებდა და მოითხოვდა იმავე გიგა ბოკერიას დაპატიმრებას. როცა ასეთ განცხადებებს აკეთებ და ასე ფიქრობ, რა კეთილშობილური მიზანიც არ უნდა იყოს, ასეთი ადამიანის გვერდით არ უნდა დადგე.

***– ამ კრიზისულ სიტუაციაში რა გეგმა შეიძლება ჰქონდეს ბიძინა ივანიშვილს? უმრავლესობაც ნელ-ნელა ჩამოეშალა და თავზე დაემხო. როგორ შეიძლება, შემოაბრუნოს სიტუაცია?***

– „ქართული მარში“ ნამდვილად არ აპირებს თალაკვაძისა და კობახიძის ბედნიერი მომავლისთვის ბრძოლას.

***– ქვეყნისთვის არის ის პროცესები ცუდი, რაც რუსთაველზე ვითარდება.***

– კი ბატონო, მეც მანდ მივდივარ. აქ იყო საუბრები, კონტრაქცია დაგეგმესო. ეს არ არის კონტრაქცია. ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ პროპორციული არჩევნებისთვის, მაგრამ არასოდეს დავუშვებთ სააკაშვილისა და ბოკერიას პოლიტიკურ რევანშს! აი, ამაშია საქმე და ამაშია ამ ორ აქციას შორის განსხვავება.

***– რა გეგმა შეიძლება ჰქონდეს ივანიშვილს სიტუაციის შემოსაბრუნებლად?***

– ივანიშვილი დაალალატა საკუთარმა გუნდმა. ივანიშვილს დაემართა დათა თუთაშხიას ცნობილი ფრაზა – ვისაც ჩავაცვი, იმან გამხადაო. ვინ იბრძვის ივანიშვილის წინააღმდეგ ყველაზე რადიკალურად?

ვის უნდა ივანიშვილის დამხობა და განადგურება?! უნდა რესპუბლიკურ პარტიას, რომელსაც მილიონი დოლარი აჩუქა ბიძინა ივანიშვილმა, თავდაცვის მინისტრის პოსტი მისცა და პარლამენტის თავმჯდომარის პოსტი მისცა, პარლამენტში შეიყვანა ეს ნულპროცენტიანი პარტია.

ვის უნდა ივანიშვილის განადგურება?! იმ დანარჩენ პარტიებს, რომლებიც მას კოალიციაში ჰყავდა და რომლებსაც მილიონ-მილიონი დოლარი აჩუქა, საპარლამენტო თანამდებობები მისცა და ყველანაირი პირობა შეუქმნა, ანუ ვისაც ჩააცვა, ის უპირებს ივანიშვილს გახდას. ჩემთვის ივანიშვილს არც ჩაუცვამევია და არც მე ვუპირებ გახდას. მე არ ვფიქრობ, რომ ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ მთლიანად უნდა განადგურდეს.

***– აბა რას ფიქრობთ?***

– პირიქით, უნდა იყოს მომავალ პოლიტიკურ ცხოვრებაში. დამნაშავე ნაციონალურ მოძრაობას მივეცით პოლიტიკურ ასპარეზზე ყოფ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# თაკო ჩარკვიანი: „ბურჯანაძეს არ ეგონოს, რომ სამომავლოდ ერთად ვიქნებით“

## „ჩვენ მხოლოდ უზურპატორი ბიძინას წინააღმდეგ გავერთიანდით“

იაგო ნაცვლიშვილი

**არის თუ არა ოპოზიციურ სპექტრში თანამშრომლობაზე მზაობა საარჩევნო სისტემის გარდა სხვა საკითხებზეც და როგორ წარმოუდგენია ნინო ბურჯანაძესთან ერთად ერთ ფორმატში მუშაობა? — ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პარტია „კანონი და სამართლის“ ლიდერი თაკო ჩარკვიანი საუბრობს.**



***–ოპოზიცია აგრძელებთ ერთიან ფორმატში მუშაობას?***

– დიახ, ერთად ვართ. სიმართლე გითხრათ, არ იყო მარტივი. მე როდესაც გრიგოლ ვაშაძე წარვადგინე პრეზიდენტობის კანდიდატად გასულ წელს, მაშინაც რთული იყო, მაგრამ ის გაერთიანება იყო აბსოლუტურად პროდასავლური და მაშინ ის გაერთიანება ნაკლებ სირთულეს წარმოადგენდა. ახლა კი ბევრად უფრო რთული იყო, იმიტომ, რომ ჩემთვის რუსული ვექტორი წყალგამყოფია.

***– ეს კითხვა მაქვს ზუსტად. წავიკითხე სოციალურ ქსელში თქვენი პოსტი, სადაც ამბობთ, რომ ლამის არის უკვე „ბელა ჩაოს“ მღერა დაიწყოთ. ცხადია, აქ ბურჯანაძეზე მიანიშნებდით.***

– კი ბატონო. მე ანგარიშვალდებული ვარ ჩვენი პარტიის „კანონი და სამართლის“ ამომრჩეველთან და წევრებთან. ახალგაზრდები მყავს პარტიაში და მათთვისაც კატეგორიულად მიუღებელია რუსული ვექტორი, მით უმეტეს ის პოლიტიკოსები, რომლებიც პოლიტიკაში ძალიან გაცვეთილები და გამოკვეთილები არიან რუსული ორიენტაციის მხრივ და არ მალავენ ოკუპანტის მიმართ მხარდაჭერას.

***– ამ შემთხვევაში ბურჯანაძეს გულისხმობთ?***

– რა თქმა უნდა. მე არ ვსაუბრობ შეურაცხმყოფელი ენით, არამედ მე ვსაუბრობ იმ რეალობაზე, რომელიც გაცხადებული აქვს მას და ამიტომ ვამბობ მას.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

დასაწყისი მე-2 გვერდზე

# კოტე კემულარია: „ქვეყანა საომარი მდგომარეობის ზღვარზეა“

***თქვენ რას დაუპირისპირებთ? მაჟორიტარებზე შეთანხმდებით? საერთო კანდიდატების დასახელების მხრივ მზაობაა ოპოზიციაში?***

– ამისთვის სრული მზაობაა. ჩვენ უკვე ყოველდღიურ ფორმატში გვაქვს დიალოგი და ყოველდღე ვიკრიბებით. ჩვენ კარგად გვესმის პასუხისმგებლობა, რომელიც გვაქვს ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე. ამით განვსხვავდებით „ოცნებისაგან“. ამდენად, ჩვენ თვითონ ვეძებთ გამოსავალს იმ სიტუაციიდან, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა შექმნა ქვეყანაში.

ივანიშვილმა ქვეყანა და პოლიტიკური ვითარება უმძიმეს კრიზისში შეიყვანა, ახლა კი ოპოზიციური პარტიები ამ სიტუაციიდან ვეძებთ გამოსავალს. ეს ალბათ გარედანაც კარგად ჩანს. რა თქმა უნდა, ეს არ არის იდეალური ვარიანტი, მაგრამ ჩვენ ამ რთულ ვითარებაში მზად ვართ ამისთვის და დათმობაზე წავედით ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე.

ჩვენ ვლაპარაკობთ საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანასა და აბსოლუტურად მახინჯი სისტემის შეცვლაზე. ამას სჭირდება 76 ხმა იმისთვის, რომ ნორმალური საარჩევნო წესები იყოს დანერგილი ქვეყანაში.

***– ვადამდელი არჩევნების თემა რატომ წამოსწიეთ?***

– ქვეყანაში არის გაუსაძლისი ვითარება და ესენი 1 წელიწადში კიდევ რას იზამენ, არავინ იცის. ესენი შევიდნენ რეჟიმში, როდესაც ფაქტობრივად გაუსაძლის ვითარებაში იმყოფებიან. მსოფლიოში არის ასეთი ვითარება, რომ წესი ყველგან წესია. ვინც წესს არ იცავს, ის ხომ უწესოა!

ქვეყნისთვის ხიფათის არიდება გვინდა, თორემ ესენი ყველაფერზე შეიძლება წავიდნენ. ამათგან ყველაფერი მოსალოდნელია, ამიტომ ვამბობთ, რაც შეიძლება მალე შევცვალოთ ეს ხელისუფლება არჩევნების გზით და მოვიდეს ხელისუფლებაში ხალხის წარმომადგენლობა – ზუსტად ის ჭრელი პარტიები, რომლებიც ვართ შეკრებილი, რადგან სულ სხვადასხვა შეხედულების პარტიები ვსხედვართ ერთ მაგიდასთან, იმიტომ, რომ სხვა გამოსავალი, უბრალოდ, არ გვაქვს.

ხელისუფლებაში უნდა მოვიდეს ბევრი პარტია, სადაც არც ერთს არ ექნება უპირატესობა და ასეთი დემოკრატიული გზით უნდა შედგეს კოალიციური მთავრობა.

აი, ეს არის ჩვენი შეთავაზება.

***– ოპოზიციამ ხელისუფლებას სამპუნქტიანი მოთხოვნა წაუყენეთ, მაგრამ იმ მოთხოვნებში არ მოხვდა პოლიტპატიმრების თემა. რატომ არ დააყენეთ ეს საკითხი, მით უმეტეს, თქვენი პარტიის ლიდერია დაჭერილი და კიდევ ათობით მოქალაქე, რომელთა უფლებებზეც ასევე თქვენი პარტია მუშაობდა?***

– არა, ასე არ არის. ეს საკითხი არა მარტო დაყენებულია, არამედ მიღებულიც არის. ჩვენ გვაქვს 4-პუნქტიანი გეგმა, რომელიც გაჟღერდა აქციაზე (ინტერვიუ ჩაწერილია 17 ნოემბრის აქციამდე, ავტ.).

ოფიციალურად ეს მოთხოვნები არ ყოფილა დასახელებული. ცალ-ცალკე საუბრობენ ამ თემაზე პოლიტიკოსები და ყველა საკითხი არ გაჟღერებულა. ჩვენ დავაყენეთ ეს საკითხი და ყველამ დაგვიჭირა მხარი. ამ თემაზე განცხადებებიც გაკეთდა, მაგალითად, შალვა ნათელაშვილმა დააფიქსირა, რომ უპირობოდ უნდა გათავისუფლდნენ ირაკლი ოქრუაშვილი და ყველა პოლიტპატიმარი.

ის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა იმ ოთხს შორის, რომელიც აუცილებლად გაჟღერდება.

***– არ არის რთული მუშაობა იმ პარტიებს შორის, რომლებიც წლების განმავლობაში დაპირისპირებული იყვნენ და რომელთა ხედვებიც აბსოლუტურად განსხვავებულია, თუნდაც საგარეო პოლიტიკის მხრივ? მაგალითად, ფუნდამენტური სხვაობა გაქვთ თქვენ და ნინო ბურჯანაძეს, ნაციონალურ მოძრაობასა და ეკა ბესელიას. არ არის სირთულეები?***

– ნებისმიერ საკითხში, თუ შენი ქვეყანა გიყვარს, არსებობს ფასეულობათა იერარქია. რაც არის ყველაზე ფასეული, ის საკითხი იწევს ხოლმე წინ, როდესაც რთული ვითარებაა. ღმერთმა დაგვიფაროს და, ვინმემ რომ შემოგვიტიოს, ერთად არ უნდა დავდგეთ იმის გამო, რომ სხვადასხვა შეხედულებები გვაქვს?!

მერე დადგება იმის დრო, როდესაც ჩვენს შეხედულებებსა და სხვადასხვა მიმართულებებზე ვიდავებთ, შემდეგ უკვე კომპრომისზე წავალთ ან არ წავალთ და ჩვენს შეხედულებებზე დავრჩებით.

ამჯერად ვიმყოფებით ურთულეს კრიზისში, ფაქტობრივად საომარი მდგომარეობის პირობებში. ამდენად, გადავდეთ გვერდზე რაღაცრაღაცები.

კი, გეთანხმებით, რომ ძალიან რთული და დამღლელია მუშაობა. ამ ვითარებას ბევრი რაღაც ელობებოდა, მე ძალიან ბევრ რამეს მოვსწრებივარ, მაგრამ ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ჩვენ, ქართველებს, ამის ძალა შეგვწევს.

ეტყობა, გავიზარდეთ, როგორც ჩანს, პოლიტიკურადაც და გაერთიანებების პოლიტიკური კულტურაც გაიზარდა. ბევრ რამეს მოვსწრებივარ, მაგრამ ეს არის სრული და ძალიან სასიამოვნო სიახლე, რომელმაც უნდა გადაგვარჩინოს.

***– თქვენი აქციის პარალელურად იმართება „პატრიოტთა ალიანსის“ აქცია, რომელსაც შეუერთდება „ეროვნული მარში“. ხედავთ თუ არა ამაში ხელისუფლების ხელს?***

– არ მინდა, მოვლენებს გავუსწრო. გარკვეული კონსულტაციები მიმდინარეობს. ისიც ოპოზიციური ძალაა და, იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყანას ძალიან სერიოზული საფრთხე ელოდება, დარწმუნებული ვარ, ისინიც ამ პოზიციაზე დარჩებიან, ქვეყანას უნდა მოვაცილოთ საშინელება და გადავარჩინოთ იგი, მერე კი ყველა ჩვენ-ჩვენი გზით წავალთ და ბოლომდე ვიბრძოლებთ.

***– ანუ მათთან კონსულტაციები გაქვთ?***

– დიახ, გარკვეული კონსულტაციები არის.



**შევიძენ**

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ: 598-43-98-57

# თამარ ჩხეიძე: „ვინ დაიჯერებს, რომ რამდენიმე მონამ მოაწყო ამბოხი?!“

## „სამარცხვინოა, რომ ქართველი საზოგადოება ქვეყანაში ერთ ადამიანს აპარპაშებს“

მარიამ მჭედლიშვილი

**ქვეყანაში შექმნილ კრიზისულ სიტუაციაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დისიდენტსა და დეპუტატ თამარ ჩხეიძეს. ინტერვიუ ჩაწერილია თბილისში გამართულ მიტინგებამდე.**

***– მოვლენების ასეთ განვითარებას მოელოდით?***

– ეს მოვლენები დაიწყო საზოგადოების მოტყუებით. პარლამენტში ჩავარდა დაპირებული კანონპროექტი, რომლითაც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები პროპორციული წესით იმართებოდა. ბოლომდე არ მჯეროდა, რომ ივანიშვილი, რომლის ხელშია შესაბამისი მექანიზმები, ამ დანაპირებს შეასრულებდა. უფრო მეტი პროცენტით მეგონა, რომ ის გამოცხადებულ გადაწყვეტილებას იურიდიულ სახეს მისცემდა.

ეს ხელისუფლება და მისი რეალური მმართველი ყველაფრის მკადრებელია, მაგრამ მაინც ძნელად წარმოსადგენი იყო, რომ ის წავიდოდა ასეთ აშკარა სიცრუესა და მყვირალა ნაბიჯზე. სამწუხაროდ, ივანიშვილი ამას არ მოერიდა.

***– და გამოიწვია რევოლუციური სიტუაცია?***

– არის თუ არა სიტუაცია რევოლუციური, მოგვიანებით გამოჩნდება. როცა ეს უტიფარი გადაწყვეტილება გამოცხადდა, იმ დღეს გარეთ საკმაო ხალხი შეიკრიბა. ვნახოთ, რა იქნება დაანონსებულ მიტინგზე და როგორც განვითარდება შემდგომი პროცესები.

***– ბევრისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა ოპოზიციის ერთობა, რომელიც პროტესტმა გააერთიანა.***

– როგორც ჩანს, პროპორციულ სისტემასთან ერთად ბუნებრივი ბარიერია ის საკითხი,



რომელიც პრორუსულ პარტიებსაც აღელვებთ. მათთვის ბუნებრივი ბარიერი არის პარლამენტში მოხვედრის გარანტია. ამ ინტერესის გარდა, არ ვიცი, რა ამოძრავებთ ასეთ პარტიებს, რომლების უკანაც რუსეთი დგას. ამაზე კითხვები მიჩნდება.

***– მმართველი პარტიის წარმომადგენლები ირწმუნებიან, რომ ვადამდელი არჩევნები არ იქნება. თუმცა, მათი განცხადებები გაუფასურდა. ისინი იმასაც ამბობდნენ, რომ 2020 წლის არჩევნები პროპორციული წესითა და ბუნებრივი ბარიერით ჩატარდებოდა. სიტუაცია რიგგარეშე არჩევნებისკენ მიდის?***

– მართლაც, ამ ხალხს არ დაეჯერება. თუ ივანიშვილს რიგგარეშე არჩევნები დასჭირდა, გამოაცხადებს. ამ მომენტში ჯერ ვერ ვიტყვით, აწყობს თუ არა ივანიშვილსა და მის „ქართულ ოცნებას“ რიგგარეშე არჩევნები.

რიგგარეშე არჩევნები გარკვეულ ვითარებაში შეიძლება ოპოზიციასაც აწყობდეს. მაგალითად, თუ პირობითად შეიქმნა რევოლუციური სიტუაცია (მაინცდამაინც ბარიკადებს, სისხლისღვრასა და გადატრიალებას არ ვგულისხმობ), გაგრძელდა ხელისუფლების დაშლის პროცესი, ასეთ ცხელ დროს ხელისუფლების მოწინააღმდეგეებისათვის ხელსაყრელი იქნება ვადამდელი არჩევნები.

მმართველი პარტიისათვის ის იქნება მომგებიანი, რომ რიგგარეშე არჩევნები ჩაატაროს მაშინ, როცა მეტ-ნაკლებად სტაბილური მდგომარეობაა.

რეიტინგდაკარგულმა „ოცნებამ“ არ იცის, რა ელის მომავალში და ის ჩაეჭიდება მისთვის უკეთეს პერიოდს.

ვის უფრო აძლევს ხელს რიგგარეშე არჩევნები? ეს მომავალში გამოჩნდება. ბევრი რამ გამოჩნდება რუსთაველზე დაგეგმილ მიტინგზე. ძალიან ბევრი რამ დამოკიდებულია საზოგადოებაზე. ჩვენი ხალხი ბევრი რამით უკმაყოფილოა, მაგრამ მაინც აძლევს ხელისუფლებას თავგასულობის უფლებას.

***– რამე კონკრეტულ ფაქტს გულისხმობთ?***

– საზოგადოებამ წაუყრუა იმ კაცის პრემიერ-მინისტრად დანიშვნას, რომელიც არის 20-21 ივნისის აქციის დამრბევი და ახალგაზრდების თვალების დამთხრელი. ვიცი, რომ საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა ამას ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ, საბოლოოდ, ხელისუფლებას ამის უფლება მისცა. ხელისუფლება ბედავს იმდენს, რამდენსაც მას საზოგადოება აბედვინებს.

***– გამოსული ხალხის რაოდენობაც მნიშვნელოვანია?***

– ჩვენთან ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ნორმალურ, სამართლიან გარემოში, შეიძლება, 5 კაცი გამოვიდეს და ის 5 კაცი იმდენად მართალი იყოს, რომ ამ ადამიანებს მოთხოვნები დაუკმაყოფილონ. ჩვენს ხელისუფლებას სინდისისა და გონების არგუმენტებისა არ ესმის. მას მარტო ძალა უნდა დაანახვო.

ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებისთვის 5000 ადამიანის პროტესტიც არაფერს ნიშნავს. ამიტომ აუცილებელია აქტიურობა და ბევრი ხალხის გამოსვლა, გასაპროტესტებლის მშვიდობიანი ფორმებით გაპროტესტება. თუ ეს არ დაინახა, ეს ხელისუფლება უარესს ჩაიდენს.

***– არჩევნებს შერეული სისტემით ჩაატარებს?***

– თუ გამოუვა, ამ სისტემას დატოვებს. ხელისუფლებამ დაამტკიცა, რომ უნდა ამ შერეული საარჩევნო სისტემის შენარჩუნება. აბა, ვინ დაიჯერებს, რომ რამდენიმე მონამ მოაწყო ამბოხი?! პარლამენტში მოკალათებული მონების ფსევდოამბოხი ივანიშვილის მოწყობილია და ივანიშვილისა უკვე დასავლელ გულუბრყვილო მეთვალყურეებსაც აღარ სჯერათ.

***– როგორ გგონიათ, ეს დადგმა მარტო მაჟორიტარების მონაწილეობით შემოიფარგლა?***

– პარლამენტის უმრავლესობა თორმეტმა დეპუტატმა დატოვა. ვიმედოვნებ, რომ მათი მოქმედება გულწრფელი იყო. უმრავლესობიდან გამოსულებს შორის იყვნენ ის დეპუტატებიც, რომლებმაც ხმა არ მისცეს ნიკა მელიასთვის იმუნიტეტის მოხსნას. ვინც მაშინ გაბედულად მოიქცა, მას შეიძლება ახლაც ვენდოთ.

***– ოპოზიცია როგორ უნდა მოიქცეს?***

– ოპოზიციამ უნდა გააგრძელოს თავისი მოთხოვნების წამოყენება. საზოგადოება სამართლიანად ეწინააღმდეგება ხელისუფლების უტიფრობას. შედეგის მისაღწევად აუცილებელია აქტიურობა და ხალხმრავლობა.

სამარცხვინოა, რომ საქართველოს საზოგადოება ქვეყანაში აპარპაშებს ერთ ადამიანს, რომელმაც ამ დღეებში მოგვიწყო ფსევდოამბოხი და დაარღვია ხალხისთვის მიცემული პირობა.

ამ ერთი ადამიანის პარპაში ანგრევს ქვეყანას, მით უმეტეს, რომ მის უკან პუტინი დგას.

# სოსო ცინცაძე: „ივანიშვილი არანაირ დათმობაზე წასვლას არ აპირებს“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ოპოზიციის ერთიანობაზე საუბრობს.**

***– ბატონო სოსო, დღეს ოპოზიცია მართლაც ერთიანია ხელისუფლების წინააღმდეგ, მაგრამ რამდენად შეინარჩუნებენ ამ ერთობას? ივანიშვილი მათ დაშლასა და გადმობირებას ეცდება?***

– რა თქმა უნდა, ივანიშვილი პირველ რიგში თუ რამეს ეცდება, სწორედ ამ ერთობის დაშლას ეცდება. თუ რამე გააცოფებს, სწორედ ეს, მაგრამ ძალიან გაუჭირდება მოსყიდვა.

***– რატომ?***

– ოპოზიციის ლიდერებს ერთდროულად გაუჭირდებათ სახის შენარჩუნებაც და ივანიშვილის თამაშის თამაშიც. ჩუმად შეიძლება მოისყიდოს და ამაზე წავიდეს რომელიმე ოპოზიციის ლიდერი, მაგრამ ეს ივანიშვილს არ აწყობს. მას აწყობს, რომ მოსყიდულმა ოპოზიციონერმა ღიად, ხმამაღლა თქვას, რომ შეცდა, ამას კი საჯაროდ ვეღარავინ გაბედავს.

ეს იქნება საჯარო სამსჯავრო, მარგინალიზება საკუთარი პერსონის, რაზეც, არა მგონია, ვინმე წავიდეს.

***– ივანიშვილის ხელში დღეს რა კოზირია, რის გათამაშებას ეცდება ის?***

– მთავარი საფრთხე, რომელიც არავის აწყობს, არის სამოქალაქო დაპირისპირება, რომლიდანაც ერთი ნაბიჯი რჩება სამოქალაქო ომამდე. სამოქალაქო ომს კი ნამდვილად ველარ გაუძლებს ეს ქვეყანა, ღმერთმა დაიფაროს. ამიტომ მაშინ ყველა ერთხმად იტყვის: ყველაზე უვარგისი მთავრობაც იყოს, ოღონდ სამოქალაქო ომი არ იყოს.

ეს არის დღეს ივანიშვილის ხელში ერთადერთი კოზირი.

***– ოპოზიცია რამდენად შეძლებს პროტესტის მუხტის შენარჩუნებას? სააკაშვილმა თავის დროზე „კარვების ქალაქის“ სრული იგნორირება მოახდინა და მაშინ ის დაპირისპირება მოიგო. შეიძლება, ანალოგიურ მეთოდს მიმართოს ივანიშვილმა?***

– 2-3 თვე რუსთაველის გამზირი გადაკეტილი იყო, თანაც ზაფხული იყო. დიახ, ეს გამოცდილება არსებობს. ივანიშვილი ახლა სწორედ ამ რჩევას იღებს მრჩევლებისგან – დღეს კი გამოვიდა მზიანი ამინდი, მაგრამ მალე მზეს თოვლ-ჭყაპი შეცვლის, ყინვები დადგება, ზამთარი მოდის. ადამიანი კი ადამიანია თავისი ყველა მოთხოვნილებით, დაიღლებიან და სახლებში წავლენ. მისი გარემოცვა კი ეუბნება



– მიშა თუ უძლებდა, ჩვენც გავუძლებთ! ეს არის ის ფრაზები, რომლებიც ყველაზე მეტად დღეს ივანიშვილის ყურს ესმის.

ასეთი ფრაზებიც იქნება: მით უარესი მათთვის და მით უკეთესი ჩვენთვის, არჩევნებზე უფრო მოუმზადებლები მოვლენ.

***– ამ პოლიტიკურმა კრიზისმა მთავრობის გადადგომა შეიძლება გამოიწვიოს. თუმცა იმავე სისტემით არჩევნების ჩატარება რამდენად აწყობს ოპოზიციას?***

– მოქმედი შერეული საარჩევნო სისტემა დღეს მხოლოდ „ქართულ ოცნებას“ აწყობს, სხვას არავის. თუმცა ოპოზიცია რატომღაც დარწმუნებულია, რომ ყველა სისტემით გაიმარჯვებს, რაც, ჩემი აზრით, დიდი გულუბრყვილობაა.

***– მათ არგუმენტად საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტური მოჰყავთ.***

– საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურზე „ოცნება“ სრულიად მოუმზადებელი იყო, მაგრამ მეორე ტურმა ხომ აჩვენა, რა შეუძლია ივანიშვილს?! ამის შემდეგ, არა მგონია, ოპოზიციას კიდევ სჭირდებოდეს არგუმენტები.

ოპოზიციისთვის ბევრად უფრო მომგებიანი იყო რეფერენდუმის იდეით გამოსვლა, ვიდრე გერმანული მოდელის შეთავაზება. ხელისუფლება გვეუბნება, რომ გერმანული მოდელი არაკონსტიტუციურია. ბევრმა ადამიანმა შეიძლება ასეც დაიჯეროს. ამიტომ ყველაზე სწორი და გონივრული ნაბიჯი ოპოზიციის ლიდერების მხრიდან რეფერენდუმის შეთავაზება იქნებოდა, რაზეც ასე ღიად უარს ვერ იტყოდა ხელისუფლება. მერე უკვე საერთაშორისო საზოგადოებასაც ვეღარ აუხსნიდნენ, რატომ – არა!

სრულიად ნათელი იყო, რომ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე „ოცნება“ უარს იტყოდა და ჩააგდებდა. დღეს თუ ვინმეს არ აწყობს პროპორციული სისტემა, ეს „ქართული ოცნებაა“.

პროპორციულ საარჩევნო სისტემას ბევრი ნაკლი აქვს, ის მართლაც არასტაბილურობის მიზეზი შეიძლება იყოს და ა.შ. მაგრამ ამ სისტემის ყველაზე მთავარი ღირსება მისი სამართლიანობაა. რამდენ ხმასაც იღებ, იმდენი მანდატი გაქვს პარლამენტში.

***– ხალხის რაოდენობაზე რას იტყვით, სათანადო რაოდენობაა?***

– არა, მილიონ 200 ათასი ადამიანი ცხოვრობს თბილისში. თუმცა, როგორც ჩანს, რაოდენობაზეც აცრილია „ქართული ოცნება“. გამოვლენ, იხმაურებენ და დაიღლებიან – ასე ფიქრობენ.

დღეს ბიძინა ივანიშვილი არანაირ დათმობაზე წასვლას არ აპირებს. ერთადერთი არის საერთაშორისო პარტნიორების პოზიცია. თუ ამერიკიდან დარეკავენ და ივანიშვილს ეტყვიან, რომ უნდა დათმოს, მაშინ სხვა გზა არ ექნება.

თუ ჩვენს პრობლემას ჩვენი პარტნიორები გულთან ახლოს მიიტანენ, მაშინ ხელისუფლებას სხვა გამოსავალი არ ექნება.

თავის დროზე მიხეილ სააკაშვილსაც მოუსმენია ასეთი ზარებისთვის.

ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

# სანდრო ბრეგაძე: „პრემიერმა კვირიკაშვილმა პატრიარქის ქება ამიკრძალა და მთავრობიდან იმიტომ წამოვედი“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ნის უფლება და არ ვფიქრობ, რომ „ქართული ოცნება“ გასანადგურებელია. უბრალოდ, მან არ უნდა მოახდინოს ხელისუფლების უზურპირება!

***– შეძლებენ სიტუაციის გამოსწორებას თუ იქნება ვადამდელი არჩევნები? რას ელოდებით?***

– მე ველოდები, რომ საბოლოოდ ალბათ მაინც დათმობენ, იქნება პროპორციული არჩევნები და ქვეყანა საარჩევნო რეჟიმში გადავა. ეს ჩვენ გვინდა პროპორციული არჩევნები, თორემ, დარწმუნებული ვარ, მიხეილ სააკაშვილსა და მის მომხრეებს სისხლისღვრა და რევანში სწყურიათ.

***– რამდენად მივა სიტუაცია აქამდე, რომ სისხლი დაიღვაროს?***

– ნაცმოძრაობა და ბოკერია ეცდებიან, სიტუაცია აქამდე მიიყვანონ.

***– ეყოფა ხელისუფლებას გონიერება, ეს არ დაუშვას?***

– ხელისუფლებას არ ჰყავს ადამიანები, რომლებიც მისთვის ბოლომდე იბრძოლებენ. მდინარაძემ ცოცხალი სააკაშვილი რომ დაინახოს, მას საზღვარზე ვერავინ მიასწრებს. ესენი ხომ კოლექტიურ მდინარაძეები არიან. ხომ ნახა ბიძინა ივანიშვილმა თავისი თვალით, რომ ყველა განუდგა. თამარ ჩუგოშვილი, რომელიც მას ამომავალ ვარსკვლავად მიაჩნდა, პირველი განუდგა ივანიშვილს და მისი პირველი მტერი აღმოჩნდა.

ბევრს უჭირს ადამიანების ამოცნობა და შემდეგ ეს ღუპავთ ხოლმე. ხომ ვნახეთ, რომ „ქართული ოცნებიდან“ პანტაპუნტით გარბიან დეპუტატები, რომელთა გვარებიც პარლამენტში მოხვედრამდე არავინ იცოდა. ასეთი ადამიანები რომ განუდგნენ ივანიშვილს, ეს არის ძალიან კარგი, მაგრამ მწარე მაგალითია მისთვის. ამოვიდა ეს ყველაფერი ყელში.

***– რა ამოვიდა?***

– ის, რომ შეჭამეს ქვეყანა. აგერ, სახელმწიფო აუდიტმა დასკვნა დადო – 730 მილიონია გაფლანგული თავდაცვის სამინისტროდან. მე იმისთვის დამდევენ, ნინო ლომჯარიას ხელი ხომ არ შეუშალა თავის საქმიანობაშიო, ჩვენი ბიჭები უმიზეზოდ ციხეში ჩასვეს და ამაზე ხმას არავინ იღებს. ხალხო, 730 მილიონია გამქრალი თავდაცვის სამინისტროდან და ამ ფაქტზე ერთი კაციც არ არის დაკავებული! ანუ ეს რას ნიშნავს? გაქანებული ვაჭრობა მიდის თავდაცვის სამინისტროში. 730 მილიონი ამათმა მოტეხეს, აგერ 700 მილიონი კვირიკაშვილს წაუღია, იქ კიდევ ერთერთმა პრემიერ-მინისტრმა 55 მილიონი წაიღო. კი ავედით აგერ მილიარდ-ნახევარ ლარზე და საქართველო რომელი ბრუნეი და კუვეიტია, რომ ამას გაუძლოს.

გვძარცვავენ, ხალხო, მით, უმეტეს, ძარცვავენ ჯარისკაცებს. თავდაცვის სამინისტროს ყოფილი ხელმძღვანელობა, თავის გენშტაბიანმენშტაბიანად, ახლა უნდა იყოს გლდანის ციხეში!

***– ანუ იზორიას დროს გაქრა ეს 730 მილიონი ლარი?***

– დიახ და ირაკლი ღარიბაშვილმა მოიწვია სახელმწიფო აუდიტი და დადო ეს დასკვნა. სახელმწიფო აუდიტის დასკვნა მაქვს, 730 მილიონი სახლში აქვთ წაღებული ამ თითლიბაზებს. ქართული ჯარი გაძარცვეს და ხვალ დილას ომი რომ დაგვჭირდეს, ტყვია-წამალი არ გვაქვს, რომ თავი დავიცვათ! მშიერი გვყავს ჯარი!

აი, ამაშია ზუსტად საქმე – თუ ხარ პოლიტიკურად ლოიალური, 700 მილიონი წაიღე, კი ბატონო. არ ხარ პოლიტიკურად ლოიალური? მაშინ დაიჭირეთ ბრეგაძე, ნინო ლომჯარიას 3 ათას კილომეტრზე ხელი შეუშალა მუშაობაშიო. იმდენად დებილები არიან, რომ იმასაც ვერ ხვდებიან, როგორ უნდა შემეშალა ხელი ლომჯარიასთვის ევროპაში?! ამაშია საქმე, რომ იურიდიულადაც ნულები არიან.

***– თქვენც იყავით ამ მთავრობის წევრი.***

– კი ბატონო, მეც ხომ ვიყავი ამ მთავრობის წევრი და რატომ წამოვედი?! მე არ მეძლეოდა მუშაობის საშუალება. ვერც ერთი ეროვნული საკითხი მე იმ მთავრობაში ვერ გავიტანე. მთელმა საქართველომ მინდა იცოდეს, რატომ წამოვედი ამ მთავრობიდან!

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ პრემიერ-მინისტრმა კვირიკაშვილმა და მისმა მინისტრთა კაბინეტმა ამიკრძალა, პატრიარქზე საქებარი სიტყვა არ თქვაო. პატრიარქის დასაცავი სიტყვა არ თქვაო.

სწორედ მაშინ დაიწყო პატრიარქის და ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა. და საერთოდ რატომ გიკვირთ რამე? დიახ, ეს იყო ჩემი წამოსვლის მიზეზი.

ასეთ პოლიტიკას რომ ატარებ, მთავრობაში რომ მანქურთები და ეკლესიის მაგინებელი ხალხი რომ მიგყავს, ღმერთი აუცილებლად რომ დაგსჯის, ეს უნდა იცოდნენ.

ახლა დადგნენ და უყურონ ამ კარვებს და კასრებს რუსთაველზე. უყურონ იმას, რაც მათ წინ ელით. მიუხედავად ყველაფრისა, ბოლოს გეტყვით, რომ არ უნდა დავუშვათ, რომ მიხეილ სააკაშვილი და გიგა ბოკერია დაბრუნდნენ ხელისუფლებაში!

ბიძინა ივანიშვილი მეცოდება იმ გარემოცვის ხელში, რომელიც მას ჰყავს!

# ბექა კვიციანს პატიმრობა შეეფარდა

თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე მეგობრის მკვლელობის ბრალდებით დაკავებულ ბექა კვიციანს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. აღნიშნული გადაწყვეტილება მოსამართლე ნატო ხუჯაძემ 16 ნოემბერს მიიღო.

გადაწყვეტილების გამოცხადებას დარბაზში ხმაური და შეურაცხმყოფელი განცხადებები მოჰყვა, ბექა კვიციანი მოსამართლეს და საკუთარ ადვოკატსაც კი აგინებდა, რის შემდეგაც ბრალდებული დარბაზიდან მანდატურებმა გაიყვანეს.

ბრალდების მხარემ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობა დააყენა. დაცვის მხარემ კი ბრალდებულის აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვება ან 10.000 ლარის ოდენობის გირაოს გამოყენება ითხოვა.

## „რაზე მიჭერთ, ისიც არ იცით, თქვენი დედები...“

მოსამართლემ დაცვის მხარის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და ბრალდებულ ბექა კვიციანს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

ადვოკატი შოთა მანელიძე მიიჩნევს, რომ მოსამართლის გადაწყვეტილება არამართებული იყო, შესაბამისად, ის დადგენილ ვადებში გადაწყვეტილების გასაჩივრებას გეგმავს.

საქმის პროკურორმა დაასაბუთა, თუ რატომ მოითხოვა ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება.

– არსებობს ბრალდებულის მიმალვის საფრთხე. ის დანაშაულის ჩადენის შემდეგ მიიმალა და 3 დღის შემდეგ მოხდა მისი დაკავება. გარდა ამისა, აქ არის მტკიცებულებების მოპოვებისათ-



ვის ხელის შეშლა, რაც ასევე დასაბუთებულია, ვინაიდან არ არის ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღი.

მოწმეებთან დაკავშირებით შეიძლება მოხდეს ზემოქმედება. კიდევ ერთი არგუმენტაცია, საფუძველი იმისა, რომ მას შეჰფარდებოდა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა, გახლდათ ის, რომ არის რისკი და საშიშროება, რომ იგი გააგრძელებს დანაშაულებრივ საქმიანობას, – განაცხადა პროკურორმა გრიგოლ ბიბილაშვილმა.

თბილისის ზღვის ტერიტორიაზე ახალგაზრდა მამაკაცის, ნოდარ ცეცხლაძის, მკვლელობის ბრალდებით მისი მეგობარი, დეპუტატ ემზარ კვიციანის ძმისშვილი, ბექა კვიციანი, რამდენიმედღიანი ძებნის შემდეგ დააკავეს.

გამოძიება განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით, ასევე, 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

# კიევში ისლამური სახელმწიფოს ერთ-ერთი ლიდერი, ცეზარ ტოხოსაშვილი, ალ ბარა შიშანი, დააკავეს



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური კიევში ისლამური სახელმწიფოს ერთ-ერთი ხელმძღვანელის, საქართველოს მოქალაქე ალ ბარა შიშანის დაკავებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

„უკრაინის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა ტერორისტულ ორგანიზაციაში მონაწილეობის ბრალდებით საქართველოს მიერ ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნილი საქართველოს მოქალაქე დააკავა.

უკრაინის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან თანამშრომლობით, ტერორისტულ ორგანიზაციაში მონაწილეობის ბრალდებით, საქართველოს მიერ ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნილი საქართველოს მოქალაქე ცეზარ ტოხოსაშვილი უკრაინაში, ქალაქ კიევში დააკავა.

საქართველოს სახელმწიფო სამსახურის კონტრტერორისტულ ცენტრის მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ 2014 წელს, ცეზარ ტოხოსაშვილი სირიის არაბთა რესპუბლიკაში გაემგზავრა და სამთავრობო ძალების წინააღმდეგ წარმოებულ საბრძოლო მოქმედებებში ჩაერთო.

გამოძიებამ დაადგინა, რომ 2015 წელს, ცეზარ ტოხოსაშვილი ტერორისტული ორგანიზაცია ისლამური სახელმწიფოს რიგებში გაწევრიანდა. მას ახლო ურთიერთობა აკავშირებდა ისლამური სახელმწიფოს ლიდერებთან: თარხან ბათირაშვილთან, ისლამ ატაბიევთან და ახმედ ჩატაევთან.

2019 წლის 6 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ ცეზარ ტოხოსაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა“, – აღნიშნულია სუს-ის განცხადებაში.

# 30 წლის მამაკაცი სარფთან ჩამომხრჩვალი იპოვეს



შინაგან საქმეთა სამინისტრო არკვევს, რა გახდა 30 წლის ბიჭის გარდაცვალების მიზეზი, რომელიც 16 ნოემბერს სარფთან ახლოს ჩამომხრჩვალი იპოვეს.

უწყებამ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

როგორც ირკვევა, ახალგაზრდა სამუშაოდ თურქეთში იმყოფებოდა და სახლში, საჩხერეში ბრუნდებოდა.

ახლობლების ინფორმაციით, ახალგაზრდას თან ჰქონდა ფული და ტელეფონი, რასაც ვერ პოულობენ.

# მამაკაცმა ატენის 20 ნომერში ჯერ დედა და და მოკლა, შემდეგ კი თავი მოიკლა



გარდაცვლილები არიან და-ძმა თაკო და ლევან აბაშიძეები და დედა ირინა გედევანიშვილი

გუშინ, 17 ნოემბერს, თბილისში, ატენის ქუჩაზე, 20 ნომერში, მკვლელობა მოხდა. მამაკაცმა ჯერ დედა და და მოკლა, შემდეგ კი თავი მოიკლა.

ადგილობრივის თქმით, შემთხვევა, სავარაუდოდ, გამთენიისას მოხდა.

– მიზეზი არავინ იცის. ყველა გაოგნებულია. ლევანი არ იყო კონფლიქტური. გასროლის ხმა არ გამიგია. ამბობენ, რომ ტრაგედია გამთენიისას მოხდა. ბიჭი ცოტა ხნის წინ ინგლისიდან ჩამოვიდა, – განაცხადა ადგილობრივმა მცხოვრებმა.

გარდაცვლილები არიან და-ძმა თაკო და ლევან აბაშიძეები და დედა ირინა გედევანიშვილი.

„კურიერის“ ინფორმაციით, გარდაცვლილის მანქანის ადგილმდებარეობა მეზობლებს ხელს უშლიდა და მას სახლში მიაკითხეს. მეზობლებს ბინაში 3 გარდაცვლილი დახვდათ.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობასა და ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნას ან გასაღებას გულისხმობს.

# პოლიციამ იმერეთში ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო



ხარაგაულის მუნიციპალიტეტში შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის სამმართველოს თანამშრომლებმა 1980 წელს დაბადებული გ.ხ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულის დროებით საცხოვრებელ სახლში მოსამართლის განჩინების საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღეს: კალაშნიკოვის სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 334 საბრძოლო ვაზნა, 2 მჭიდი და „ეფ1“-ის ტიპის ხელყუმბარა, ზესტაფონში, დაკავებულის საცხოვრებელი სახლიდან კი ამოღებულია სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი 157 საბრძოლო ვაზნა.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს.

დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# თაკო ჩარკვიანი: „ბურჯანაძეს არ ეგონოს, რომ სამომავლოდ ერთად ვიქნებით“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ბატონმა შალვა ნათელაშვილმა შეგვატყობინა ერთიანი ფორმატის თაობაზე, ვილაპარაკეთ ყველამ, რა ვქნათო. მე სანამ გადაწყვეტილებას მივიღებდი, დაველაპარაკე პარტიაში და ასე მივიღეთ გადაწყვეტილება. ჩემმა თანაპარტიელებმა ეს კითხვები რუსული ორიენტაციის კონტექსტში დამისვეს, უნდა გადაგვედგა თუ არა ეს ნაბიჯი. მაგრამ ეს გადაწყვეტილება მაინც მივიღეთ, ვინაიდან სრულად ოპოზიციურმა სპექტრმა გადაწყვიტა, რომ დაეწყო კამპანია ყველა მინუს ერთი.

აქვე მინდა ხაზგასმით ვთქვა, რომ ეს არის მხოლოდ და მხოლოდ დროებითი. ნინომ არ იფიქროს, რომ სამომავლოდ ერთად ვიქნებით. ეს გამორიცხულია. მხოლოდ ახლა ამ უზურპატორი ივანიშვილის წინააღმდეგ გავერთიანდით.

ივანიშვილმა „გადაგვაგდო“ ყველა, როდესაც პროპორციულ სისტემაზე გადასვლის ინიციატივა ჩააგდო. ამის გამო ხალხი არის შეურაცხყოფილი და მხოლოდ და მხოლოდ ამ თემის ირგვლივ გავერთიანდით.

ბავშვები 2-3 თვე იდგნენ რუსთაველზე, მანამდე გაერთიანებულ ოპოზიციას შეტანილი ჰქონდა 200.000-ზე მეტი ხელმოწერით და ივანიშვილმა მსოფლიოს წინაშე დადო პირობა, რომ საარჩევნო სისტემას შეცვლიდა და უცებ ყველა „გადაგვაგდო“.

ეს იყო პატრონყმური წყობის ვილაცა ფეოდალის კაპრიზები. ეს არის ქართული სახელმწიფოებრიობის არნახული სირცხვილი. როდესაც ხალხს ჰკადრებ, რომ ასე ათამაშო, ეს არის საშინელება და ღირსების აყრა. ამიტომ წავედით ამაზე. ეს ჩემთვის არ იყო მარტივი და ალბათ სხვებისთვისაც არ იყო იოლი, მაგრამ მოვახერხეთ და დავსხედით საერთო მაგიდასთან და ვმოქმედებთ ერთიან ფორმატში, მხოლოდ ამ ნაწილში.

***– ვიყოთ ობიექტურები და ვთქვათ, რომ რამდენიმე თვის წინაც იჯდა ბურჯანაძე ოპოზიციასთან ერთად, მაშინ, როდესაც ამ საკითხებზე მიდიოდა მუშაობა საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებით. ვგულისხმობ 20 ივნისამდე არსებულ ვითარებას.***

## „თუ სიტუაცია გამწვავდა, იქნება კარვები, ღამისთევა, პიკეტირება“

– მე იმ შეხვედრებზე არც ერთხელ არ მივსულვარ.

***– ამის გამო არ მიდიოდით?***

– დიახ. ერთ შეკრებაზეც კი არ ვყოფილვარ, მაშინ, როდესაც პროპორციულის საკითხებზე ოპოზიცია ერთობლივად მუშაობდა. მე მაქვს ჩემი პრინციპები და ამის გამო არ მივდიოდი იმ შეკრებაზე. ახლა სხვა ვითარება შეიქმნა. ხელისუფლებამ უცბად „გადააგდო“ ხალხი. მე ასეთი რაღაცა არ გამიგია.

***– ამბობთ, რომ მხოლოდ საარჩევნო საკითხებზე მუშაობთ ერთად, მაგრამ ასეთმა ვერსიამაც გაიჟღერა, რომ არჩევნებისთვის ოპოზიცია შესაძლოა შეთანხმდეს საერთო კანდიდატებზე. ამისთვის მზად ხართ?***

– არ არის ეს მართალი, აბსოლუტურად ჭორებია. ასეთი საკითხი არც კი განხილულა.

***– როგორ არის ჭორები, როდესაც ცოტა ხნის წინ პირადად მე დამიდასტურა კოტე კემულარიამ, რომ ამის მზაობა არსებობს.***

– ჩემ გარეშე რაზე ისაუბრეს, არ ვიცი. ჩემი მონაწილეობით ასეთი საუბარი არ ყოფილა, თუმცა, ვერც იმას ვიტყვი, რომ ბატონი კოტე არასწორს ამბობს.

***– თუ დადგება ასეთი საკითხი, რომ საერთო კანდიდატები უნდა დაასახელოთ, რადგან ეს არის გზა ივანიშვილის დასამარცხებლად, დათმობაზე წახვალთ?***

– არა, საკითხი ასე არ დადგება, პირდაპირ გეუბნებით ამას. ჩვენ ვითხოვთ პროპორციულ სისტემასა და ვადამდელ არჩევნებს, ამიტომ ეს საკითხი არ დადგება.

***– კი მაგრამ, ე.წ. გერმანულ მოდელზე საუბრობთ და პროპორციულს როგორ ითხოვთ?***

– გერმანულ მოდელზე არ ვლაპარაკობ ამ შემთხვევაში, მაგრამ ახლა ამ წამს ივანიშვილთან დიალოგზე წასვლა ისეთი სირცხვილი და უხერხულობაა, რომ რა ვიცი. რაზე უნდა იყოს დიალოგი?! ახლა შენ მე რომ გადამაგდე, უკან დამიბრუნე და მე შენ დაგიწყებ ვაჭრობას?! ეს ხომ სირცხვილია?! პირიქით უნდა უთხრა, რომ შენ, ფეოდალო, თავხედო, ხალხს ამას როგორ უბედავ!

***– გამოსავალი რა არის, უნდა წავიდეს?***

– დიახ, აი, ეგ არის გამოსავალი. საჭიროა დიდი რაოდენობის ხალხი და, თუ გაამწვავებს სიტუაციას, მერე ჩვენ იქ ვიტყვით: კარვები, პიკეტირება, ღამისთევა... აბა როგორ?! ეს კაცი რაებს კადრულობს და არ გავათავისუფლოთ ჩვენი ქვეყანა?!

***– ანუ თქვენ ემხრობით რევოლუციურ გზას?***

– კონსტიტუციის დაცვის უფლება არანაირად არ გულისხმობს აჯანყებას.

***– ჩემს კითხვაში ხავერდოვანი რევოლუცია ვიგულისხმე, აჯანყება არც დამიშვია.***

– აბსოლუტურად. ჩვენი უფლებაა, დავიცვათ ჩვენი საზოგადოების უფლებები კონსტიტუციის შესაბამისად. ჩვენთვის ეს არავის აუკრძალავს და ეს არანაირად არ არის რევოლუცია. როდესაც მოქალაქეს ართმევენ უფლებას, ის იცავს კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებას. ამიტომ ამას ვერ დაარქმევ პარტიების კაპრიზს.

მარტო ჩვენ ხომ არ ვართ ამ მდგომარეობაში, ხალხი აღშფოთებულია. ამიტომ გადავწყვიტეთ და ამ ფორმატში დავსხედით. დანარჩენზე ლაპარაკი არ არის. ამაზე მეტზე თუ იქნება ლაპარაკი, მე ნამდვილად არ ვაპირებ სამომავლოდ რუსული ვექტორის პარტიებთან რამეზე საუბარს. ეს ჩემთვის და ჩემი პარტიის თითოეული წევრისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. მე არ ვაკონკრეტებ გვარებს, ვისაც რუსული ვექტორი აქვს გაცხადებული, მათთან გამოვრიცხავ ასეთ ურთიერთობას.

დღევანდელი მუშაობა უკავშირდება არჩევანის თავისუფლებას, რისი უფლებაც ნებისმიერ პარტიას აქვს და შესაბამისად ვერ ვიტყვი მათზე, რატომ იბრძვის კონსტიტუციური უფლების დასაცავად-მეთქი. ამიტომ, ჩავთვალე, რომ თუ სახელმწიფოებრიობას ეს სჭირდება იმ ვითარებაში, როცა ფეოდალმა ივანიშვილმა სახელმწიფო ღირსება აგვყარა, ამიტომ დავთანხმდი ერთობლივ მუშაობას ამ კონკრეტულ საკითხზე. რომ გითხრათ, იოლი იყო-მეთქი, იოლი ნამდვილად არ იყო.

***– ინტერვიუს ბოლოს შეაფასეთ ვითარება, რაც ხდება ოკუპანტების მხრიდან ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილის დაკავებასთან დაკავშირებით. ხომ არ დაინახეთ ხელისუფლების მორიგი უმოქმედობა ამ საკითხზე?***

– ბატონი ვაჟა არის ვაჟკაცი. რა თქმა უნდა, ხელისუფლება სრულიად უუნაროა. სახელმწიფო აღარ გვაქვს. ნორმალური სახელმწიფო და ნებისმიერი ხელისუფლება ამაყობს გმირებით, მაგრამ ამათ გმირები ეზიზღებათ. გმირების ფონზე მკაფიოდ ჩანს, რომ თვითონ არიან დაბალი სულის პატრონები და მშიშრები. რა თქმა უნდა, ამიტომ არიან უმოქმედო.

ვაჟა გაფრინდაშვილი არც ერთი პარტიის წევრი არ არის, არასდროს პოლიტიკაში არ ჩართულა და უცბად აღმოჩნდა, რომ გმირია. საოკუპაციო ზოლთან მივიდა ეს ვაჟკაცი კაცი, რომ გადააბიჯა, უთხრეს, შენ საზღვარი დაარღვიეო და თქვა, ჩემს ქვეყანაში ვიმყოფებიო. უცბად აღმოჩნდა, რომ ეს კაცი გმირია. სახელმწიფოში, სადაც გმირის პატივისცემა არ იციან, ვეტერანების პატივისცემა არ იციან და 22-ლარიან პენსიაზე ჰყავთ, სადაც პენსიონერების პატივისცემა არ იციან, სხვა რაზე უნდა ვილაპარაკოთ?!

ეს, იცით, რისი ბრალია? – აგვისტოს ომის დროს ჩვენმა გმირმა ბიჭებმა გმირობა რომ ჩაიდინეს და ჩვენს ხელისუფლებას, იმის ნაცვლად, რომ ეთქვა, რა მაგარი ბიჭები გვყავსო, ლაპარაკი დაიწყეს, ომი საქართველომ დაიწყოო.

აი, ეს არის არასახელმწიფოებრიობა. ამიტომ ვარ ოპოზიციაში ივანიშვილის წინააღმდეგ. უპირველესი, რის გამოც ივანიშვილის ოპოზიციაში წავედი, ის არის, რომ სახელმწიფო აღარ გვაქვს. ჯერ ჩემი სახელმწიფო გაანადგურა და მერე ნაგლეჯ-ნაგლეჯ სამთავროებად მიიტაცა, როგორც უზურპატორმა.

ამიტომ ახლა ბრძოლაა საჭირო, ბრძოლა ჩაყოლამდე.

# პრაღაში პრემიერ ბაბიშის გადადგომა მოითხოვეს

## მასობრივ აქციაში 300.000 კაცი მონაწილეობდა



16 ნოემბერს პრაღაში პრემიერ-მინისტრ ანდრეი ბაბიშის თანამდებობიდან გადადგომის მოთხოვნით საპროტესტო აქცია გაიმართა.

ორგანიზატორების ინფორმაციით, აქციას 300.000-მდე ადამიანი ესწრებოდა, ადგილობრივი პოლიცია კი აცხადებს, რომ მომიტინგეთა რაოდენობა 200.000 იყო.

აქციის მონაწილეების მიერ გავრცელებულ მანიფესტში აღნიშნულია, რომ პოლიტიკოსები ინტერესთა კონფლიქტისგან უნდა გათავისუფლდნენ და პატივი სცენ ქვეყანაში მოქმედ კანონებსა და ინსტიტუტებს.

ანდრეი ბაბიშს ევროკავშირის ფონდებიდან სუბსიდიის სახით მიღებული 2 მილიონი ევროს თაღლითურად დაუფლებაში ედავებიან.

კერძოდ, ეს თანხა მიიღო ფერმამ, რომლის მფლობელობა ბაბიშის კონგლომერატ „აგროფერტიდან“ გადავიდა ბაბიშის ოჯახის წევრზე, ვინაიდან სუბსიდიები გათვალისწინებული იყო საშუალო და მცირე ბიზნესებისთვის და „აგროფერტი“ მას ვერ მიიღებდა. რამდენიმე თვის წინ ჩეხეთის პოლიციამ მისთვის ბრალის წაყენების რეკომენდაცია გასცა, თუმცა მეორე დღეს ქვეყნის იუსტიციის მინისტრი გადადგა და საქმეც დაიხურა.

# ხუან გუაიდომ ვენესუელას ქუჩაში გამოსვლისკენ მოუწოდა



ვენესუელის ოპოზიციის ლიდერმა და აშშ-ისა და დასავლური ქვეყნების მიერ პრეზიდენტად აღიარებულმა ხუან გუაიდომ მოსახლეობას ნიკოლას მადუროს წინააღმდეგ საპროტესტო აქციების განახლებისკენ მოუწოდა.

ამის შესახებ გუაიდომ კარაკასში გამართული მასობრივი აქციის დროს განაცხადა.

— ჩვენ გვაქვს მტკიცე და გაწერილი გეგმა მადუროს დასამარცხებლად. მოგიწოდებთ ყველას, სტუდენტებს, ექიმებს, მასწავლებლებს, გამოხვიდეთ ქუჩაში და ერთად ვაიძულოთ მადუროს გადადგომა, — განაცხადა გუაიდომ.

ამასთან, მან გაერთიანებისაკენ ყველა ვენესუელელ ოპოზიციონერს მოუწოდა.

ვენესუელაში ვითარება განსაკუთრებით მიმდინარე წლის დასაწყისში დაიძაბა. 21 იანვარს ვენესუელის ოპოზიციის ლიდერმა ხუან გუაიდომ თავი ქვეყნის დროებით პრეზიდენტად გამოაცხადა. ის ვენესუელის ლეგიტიმურ პრეზიდენტად აშშ-მ და ევროპის ქვეყნების უმეტესობამ აღიარა.

ნიკოლას მადუროს მხარს რუსეთი, ჩინეთი და ირანი უჭერენ.



# სირიაში დანაღმული ავტომობილის აფეთქებას 10 ადამიანი ემსხვერპლა

სირიის ჩრდილოეთ ნაწილში, ქალაქ ალ-ბაბში, დანაღმული ავტომობილის აფეთქებას 10 ადამიანი ემსხვერპლა, 15 კი დაშავდა.

აღნიშნულ ქალაქს ამჟამად თურქული ძალები აკონტროლებენ.

თურქეთის თავდაცვის სამინისტრომ აფეთქების ორგანიზება ბრალად სირიელ ქურთ მებრძოლებს დასდო, რასაც ქურთული ძალები უარყოფენ.

შეგახსენებთ, რომ თურქეთს სირიის ჩრდილოეთ ნაწილში 30-კილომეტრიანი უსაფრთხო ზონის მოწყობა სურს, რის გამოც ოქტომბერში ქურთების წინააღმდეგ სამხედრო ოპერაცია წამოიწყო.

ოფიციალური ანკარის მტკიცებით, ქურთ მებრძოლებს სირიაში თურქეთთან მოსაზღვრე რაიონები არ დაუტოვებიათ, რაც აშშ-ის შუამავლობით მიღწეული შეთანხმებით იყო გათვალისწინებული.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

## მძღოლმა სიჩქარის გადაჭარბება ცოლის მიმართ ღალატის დაფარვის სურვილით ახსნა



ამერიკის ფლორიდის შტატში მძღოლმა პოლიციელების წინაშე სიჩქარის გადაჭარბებისთვის თავი იმით იმართლა, რომ მეუღლის მიმართ ღალატის შემდეგ ცდილობდა, სახლში სწრაფად დაბრუნებულიყო.

52 წლის ჯონ ერლი პიკარდი ჰონდას მარკის ავტომობილის საჭეს მართავდა გზაზე, რომელზე მოძრაობაც საათში 90 კილომეტრი სიჩქარით იყო დაშვებული. ის საათში 145 კილომეტრი სიჩქარით მოძრაობდა. ადგილობრივი დროით დაახლოებით 7:30 საათზე ის პოლიციამ გააჩერა.

პიკარდმა აღიარა, რომ სახიფათოდ მოძრაობდა და გარშემომყოფთ საფრთხეს უქმნიდა. მისი თქმით, ის ცდილობდა, სახლში მალე დაბრუნებულიყო, რათა ცოლს მისი ღალატის შესახებ ვერ გაეგო. ამერიკელი წვრილმან კანონდარღვევაში დაადანაშაულეს და ჩხრეკა ჩაუტარეს. პატრულის თანამშრომლებმა მისი პერანგის ჯიბეში კოკაინის შეკვრას მიაგნეს და ნარკოტიკების შენახვისთვის დააპატიმრეს.

პოლიციის ინფორმაციით, პიკარდმა განაცხადა, რომ ნარკოტიკი 50 დოლარად პირადად შეიძინა. კანონდამრღვევი იმავე საღამოს გირაოს 2,25 ათასი დოლარის გადახდის შემდეგ საოლქო ციხიდან გაათავისუფლეს. ის სასამართლოს წინაშე 5 დეკემბერს წარდგება.

## უიშვიათესი სამრქიანი ირემი აღმოაჩინეს



უჩვეულო ირემი მოხვდა ფოტოგრაფის ობიექტივში ამერიკის მიჩიგანის შტატის ტყეში.

დასვენების დღეებში 75 წლის ფოტოგრაფი სტივენ ლინდბერგი საკუთარი სახლის მახლობლად ტყეში სასეირნოდ იყო გამოსული. ჩვეულებისამებრ, მან თან ფოტოაპარატი გაიყოლა, რათა ბუნებაში სურათები გადაეღო თავისი ძაღლის, სახელად მაქსისთვის. შემდეგ მან ირემი შენიშნა და გადაწყვიტა, ცხოველისთვის სურათი გადაეღო.

ლინდბერგის თქმით, ცხოველს მისი არ შეშინებია და შესანიშნავად პოზირებდა კიდეც. ფოტოგრაფმა რამდენიმე ათეული ფოტოსურათი გადაიღო როგორც ფოტოკამერით, ისე ტელეფონით. მან აღიარა, რომ მაშინ ირემზე მესამე რქა არ შეუნიშნავს. ის მხოლოდ მას შემდეგ აღმოაჩინა, როდესაც, სახლში მისულმა, გადაღებულ ფოტოებს გადახედა.

ამერიკელმა უჩვეულო ირმის ფოტოსურათი ფეისბუქში საკუთარ გვერდზე განათავსა. მან მომენტალურად რამდენიმე ასეული მოწონება და კომენტარი დაიმსახურა.

## მეორადებში შეძენილი ლარნაკი მთელ ქონებად შეფასდა



დიდი ბრიტანეთის მცხოვრებმა მეორადების ბაზრობაზე შემთხვევით ჩინური ლარნაკი შეიძინა და შემდეგ აუქციონზე 380 ათას ფუნტ სტერლინგად გაყიდა.

ბრიტანელმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, ყვითელი მოხატული ლარნაკი ერთ ფუნტ სტერლინგად იყიდა. მან არ იცოდა საკუთარი შენაძენის ნამდვილი ღირებულება მანამ, სანამ მისი სურათი სპეციალურ ვებგვერდზე არ განათავსა. მან ნივთს დაბალი ფასი დაადო და უამრავმა შემოსულმა გამოხმაურებამ გააკვირვა. პოტენციური მყიდველები მის მიერ მოთხოვნილზე გაცილებით მაღალ ფასს სთავაზობდნენ.

მაშინ მან გაყიდვაზე განცხადება გააუქმა და ლარნაკი აუქციონის სახლის შემფასებლებთან მიიტანა. სპეციალისტებმა ნივთი დაათვალიერეს და განაცხადეს, რომ ის, სავარაუდოდ, ჩინეთის ცინის დინასტიის იმპერატორ ციანილუნისთვის იყო დამზადებული, რომელიც ქვეყანას 1735-დან 1796 წლის ჩათვლით მართავდა.

— მას ძალიან გაუკვირდა და გაუხარდა, როდესაც ლარნაკის ისტორია ვუამბეთ, — აღნიშნა ანტიკვარმა ესიუ ლიმ.

ლარნაკი გასაყიდად აუქციონზე გაიტანეს. შემფასებლები ვარაუდობდნენ, რომ ის 80 ათას ფუნტ სტერლინგად გაიყიდებოდა, თუმცა მყიდველმა ჩინეთიდან ლოტში თითქმის ხუთჯერ მეტი თანხა გადაიხადა. ლარნაკის გამყიდველი გარიგებით კმაყოფილი დარჩა. მან გადაწყვიტა, მიღებული თანხით თავისი სამი წლის გოგონას მომავალი უზრუნველეყოს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## მოზარდმა ნიანგს და ყბებიდან გამოსტაცა და სიკვდილს გადაარჩინა



ფილიპინების პროვინცია პალავანში 15 წლის მოზარდმა და ნიანგის ყბებში დაღუპვისგან გადაარჩინა.

პარასკევს 12 წლის ჰაინა ლიზა ხოსე ჰაბის ოთხმეტრიანი ნიანგი თავს იმ დროს დაესხა, როდესაც ნაკადულზე ხიდით გადადიოდა. რეპტილიამ კბილები გოგონას მარჯვენა ფეხში ჩაავლო და მის წყალში შეთრევას შეეცადა. ჰაინას ყვირილი მისმა უფროსმა ძმა ჰაშიმმა გაიგონა, რომელიც უკვე მეორე ნაპირზე იყო გადასული და მან ნიანგს ქვების სროლა დაუწყო. მან დის მტაცებლის ყბებისგან გათავისუფლება მოახერხა და მაშველები გამოიძახა.

გოგონა საავადმყოფოში ღრმა ჭრილობით გადაიყვანეს. მისი მდგომარეობა სტაბილურია. ჰაინამ პოლიციელებთან საუბარში აღიარა, რომ დარწმუნებული იყო, ნიანგის ყბებში დაიღუპებოდა.

— უზარმაზარი ნიანგი იყო, ჩემზე ბევრად დიდი. ძალიან შევშინდი, ვყვიროდი და ვტიროდი. მის კბილებს პირდაპირ ჩემ წინ ვხედავდი, — განაცხადა გოგონამ.

პოლიციელები ნიანგს ეძებენ, ვინაიდან შიშობენ, რომ ის შესაძლოა კიდევ ვინმეს დაესხას თავს. ადგილობრივებს მოუწოდეს, წყალსატევებისგან თავი შორს დაიჭირონ.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.**

თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166.**
**მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

# განცხადებები

## ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# კლასისა და ოსტატობის ნაკლებობა შედეგს ვერ მოიტანს

**შვეიცარია-საქართველო 1:0**

**სენტ გალენი. კიბუნ-პარკი**

1:0 იტენი (77)

**შვეიცარია:** ზომერი, ლიხტშტაინერი, ელვედი, აკანჯი, როდრიგესი, ფერნანდესი (სოუ 84), ზაკარია, ჯაკა, სტეფენი, ვარგასი (ფასნახტი 77), აიეტი (იტენი 71)

**საქართველო:** ლორია, კაკაბაძე, ხოჭოლავა, კაშია, გრიგალავა, კანკავა, კიტეიშვილი (პაპუნაშვილი 84), დავითაშვილი (გვილია 84), ყაზაიშვილი, შენგელია, ქვილითაია (ლობჟანიძე 82)

მატჩს შვეიცარიელთათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, სტუმართათვის კი სატურნირო თვალსაზრისით არანაირი, ამდენად ყოველგვარი წნეხისგან თავისუფალნი იყვნენ და საინტერესო იყო, როგორ წარმოაჩენდნენ თავს.

ამიტომაც, ცოტა ვინმე თუ ეჭვობდა შვეიცარიის ნაკრების მოგებას, მაგრამ, თუ ასე გაუჭირდებოდათ, ბევრი ნამდვილად არ ელოდა. საქართველომ ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია მეტოქეს. მართალია, მოედანზე შვეიცარიელები დომინირებდნენ, მაგრამ მომენტები საქართველოს ნაკრებს მეტოქეზე არანაკლები ჰქონდა. ვლადიმირ ვაისის შეგირდები თავს გმირულად და ყურადღებით იცავდნენ. თუმცა, იყო შეცდომებიც და ერთ-ერთი მათგანი მასპინძლებმა გამოიყენეს კიდეც.

საქართველოს ნაკრები კონტრშეტევებით ცდილობდა ფონს გასვლას და უნდა ითქვას, რომ ცუდად არ გამოსდიოდა, სახიფათო მომენტებიც შექმნეს, მაგრამ უშედეგოდ. ალბათ უფრო ოსტატობა არ ჰყოფნიდათ ჩვენებს.

საწყის 15 წუთში შვეიცარიამ „დაგვხვრიტა“. მასპინძლები ყველა წერტილიდან ცდილობდნენ კარში დარტყმას, რაც გამოსდიოდათ და გიორგი ლორიამ რამდენიმეჯერ მოახერხა ბურთის მოგერიება.

თუმცა, ჩვენ უფრო რეალური მომენტი შეგვექმნა, როდესაც დავითაშვილი-შენგელია-ქვილითაიას შეტევის შემდეგ ბურთი ძელს მოხვდა. ამას პეტკოვიჩის შეგირდების შეტევა მოჰყვა და ლორიამ პირისპირ გასულ აიეტს არ დაანება გოლის გატანა, 39-ეზე ელვედის თავური ცარიელი კარიდან კიტეიშვილმა გამოიტანა და პირველი ტაიმი 0:0 დასრულდა.

შესვენების შემდეგ შვეიცარიამ კვლავ დაიწყო ჩვენს კარზე იერიშების მიტანა და როდრიგესის შორიდან დარტყმული ლორიამ მოიგერია, ხოლო საპასუხო შეტევებისას შენგელიამ რამდენჯერმე გაამწვავა სიტუაცია,



მაგრამ კარის ჩარჩოში ვერც ერთხელ ვერ მოახვედრა.

მერე ყაზაიშვილმა ააცილა ბურთი კარს, კიტეიშვილის დარტყმული ბურთი ზომერმა მოიგერია – ვერ გაიტან გაგიტანენო და იტენმა ანგარიში თავურით გახსნა. არადა, ჩვენი გუნდი პირველ ტაიმთან შედარებით უკეთ თამაშობდა.

შემდეგ იყო შეცვლაზე შესული იტენის გოლი, სადაც კომპლექსური შეცდომა დავუშვით დაცვაში, თუმცა, ყველაზე მეტი ბრალეულობა ოთარ კაკაბაძის მიმართ გვაქვს.

მატჩის ბოლოს ქულის წამოღება შეგვეძლო – 88-ე წუთზე ყაზაიშვილი 2 მცველს გასცდა, მაგრამ სუსტად დაარტყა და წავაგეთ.

ჩვენივე ჯგუფში დანიამ 6:0 გაანადგურა გიბრალტარი და ახლა უმნიშვნელოვანესი მატჩი ელის დუბლინში ირლანდიასთან. სკანდინაველებს ფრეც ჰყოფნით ფინალურ ეტაპზე გასასვლელად.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დანია | 7 | 4 | 3 | 0 | 22-5 | 15 |
| 2.შვეიცარია | 7 | 4 | 2 | 1 | 13-5 | 14 |
| 3.ირლანდია | 7 | 3 | 3 | 1 | 6-4 | 12 |
| 4.საქართველოს | 8 | 2 | 2 | 4 | 7-11 | 8 |
| 5.გიბრალტარი | 7 | 0 | 0 | 7 | 2-25 | 0 |

# ახალგაზრდული ნაკრების დასანანი მარცხი

**საფრანგეთი-საქართველო 3:2**

**ტომბლინი. მარსელ-პიკო**

1:0, 2:0 რეინე-ადელაადე (15, 54), 2:1 კოხრეიძე (58), 2:2 კვარაცხელია (60), 3:2 ედუარდი (90პ)

**საფრანგეთი:** ლაფონტი, დაგბა, კამარა, ზაგადუ, კოზა (პელმარდი 84), რეინე-ადელაიდე, კამავინგა, ბელეგარდე (იუსუფი 70), დიაბი (მბეუმო 83), ედუარდი (ლოუზა 90+6), იკონე (ნორდინი 70)

**საქართველო:** გუგეშაშვილი, კობოური, ლოჩოშვილი, ბერიაშვილი, მალი, ტაბატაძე, კუცია, ნინუა (ქოჩორაშვილი 59), კოხრეიძე (არდაზიშვილი 73), სპანდერაშვილი (ქავთარაძე 59), ბუღრიძე (კვარაცხელია 59)



საქართველოს ნაკრებმა ლევან ხარაბაძის, ვატო არველაძის და გუნდის ლიდერის გიორგი არაბიძის გარეშე ითამაშა და ითამაშა ძალიან კარგად.

გიორგი ცეცაძის გაწვრთნილი 21-წლამდელები მშვენივრად თამაშობდნენ, ძლიერ მეტოქესთან 91-ე წუთამდე არ აგებდნენ. ბოლოს კი, ავსტრიელი მსაჯის მოქმედებამ ყველაფერი წყალში ჩაყარა: უცნაურ ვითარებაში დანიშნული პენალტი და მარცხი. ასეთი „ჭიდაობა“, როგორიც ფრანგ ზაგადუსა და ლუკა ლოჩოშვილს შორის იყო, სტანდარტულების დროს ჩვეულებრივია. თუმცა გარკვეულწილად გაკვეთილად გამოდგება. როცა ასეთი მომენტია და ბოლო წუთებია, ფრთხილად უნდა იყო.

მასპინძლები ლიონის ნახევარმცველ რეინ-ადელაადეს დუბლით 58-ე წუთამდე 2:0-ს იგებდნენ, შემდეგ კი ჩვენმა გუნდმა მცირე საოცრება ჩაიდინა. ჯერ კოხრეიძემ გაიტანა, შემდეგ შეცვლაზე შესულმა კვარაცხელიამ. თითქოს შეხვედრა ფრედ უნდა დასრულებულიყო, მაგრამ კომპენსირებულ დროში ავსტრიელმა მსაჯმა კრისტოფერ იაგერმა არდასანიშნი პენალტი დანიშნა, როდესაც გალთა მცველი ზაგადუ ლოჩოშვილთან შეხებისას მოედანზე წაიქცა და ფრანგებს გამარჯვება მოაპოვებინა.

ფრანგების მწვრთნელი სილვენ რიპოლი არც ახსენებს ამ ეპიზოდს და მიიჩნევს, რომ საქმე თავად გაირთულეს დაცვაში დაშვებული უხეში შეცდომების გამო.

**გია ცეცაძე:**

– შედეგით, ცხადია, ძალიან უკმაყოფილო ვარ. თამაში წავაგეთ და მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იყო მეტოქე. წაგება და კმაყოფილება ერთად ჩემთვის მიუღებელია. კმაყოფილი ვარ მხოლოდ იმით, რომ ბიჭებმა მოინდომეს, იბრძოლეს, გული დადეს და ყველაფერი გააკეთეს, რათა თავიანთი ქვეყანა ესახელებინათ. სამწუხაროდ, არ გამოვიდა. რაც შეეხება მსაჯობას, ეს ჟურნალისტებმა და გულშემატკივრებმა შეაფასონ. მე მსაჯობაზე კომენტარს არასოდეს ვაკეთებ.

# აზარებმა არ დაიზარეს

**ც ჯგუფი**

**გერმანია-ბელარუსი 4:0**

**მიონხენგლადბახი. ბორუსია-პარკი**

1:0 გინტერი (41), 2:0 გორეცკა (49), 3:0, 4:0 კროოსი (55, 83)

გერმანიამ ერთა ლიგის ნახევარფინალში საქართველოს ნაკრების მეტოქე ბელარუსს ადვილად სძლია და ევროპირველობის საგზური მეცამეტედ მოიპოვა, რაც რეკორდია.

მასპინძლები დიდ უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ გოლი ვერ გაჰქონდათ. პირველი ტაიმის მიწურულს გინტერმა გაიტანა და შესვენების შემდეგ გერმანიას ხელფეხი უფრო გაეხსნა. გორეცკამ და 2-ჯერ კროოსმა ყველაფერი თავის ადგილზე დააყენეს.

**ჩრ.ირლანდია-ნიდერლანდები 0:0**

**ბელფასტი. უინძორ პარკი**

ნიდერლანდების ნაკრებიც დიდ უპირატესობას ფლობდა, მაგრამ გოლის გატანას არ აპირებდა. მშვიდად აგორებდნენ ბურთს. ალბათ იმიტომ, რომ ფრე ჰყოფნიდათ, მაგრამ ამის გამო კინაღამ დაისაჯნენ.

მასპინძლებმა 32-ე წუთზე პენალტი ვერ გამოიყენეს – სტივენ დევისმა ბურთი კარს გადააცილა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.გერმანია | 7 | 6 | 0 | 1 | 24-6 | 18 |
| 2.ნიდერლანდები | 7 | 5 | 1 | 1 | 19-7 | 16 |
| 3.ჩრ.ირლანდია | 7 | 4 | 1 | 2 | 8-7 | 13 |
| 4.ბელარუსი | 8 | 1 | 1 | 6 | 4-16 | 4 |
| 5.ესტონეთი | 7 | 0 | 1 | 6 | 2-21 | 1 |

**ე ჯგუფი**

**ხორვატია-სლოვაკეთი 3:1**

**რიეკა. ჰნკ**

0:1 ბოჟენიკი (31), 1:1 ვლაშიჩი (56), 2:1 პეტკოვიჩი (60), 3:1 პერიშიჩი (74)

**გაძევება:** მაკი (66, სლოვაკეთი)

ხორვატიამ ბეწვის ხიდზე გაიარა. ბოჟენიკის გოლით სტუმრები დაწინაურდნენ და ხორვატიის ნაკრებს ისეთი სიტუაცია შეექმნა, რომ ევროპირველობაზე გასვლა სათუო გაუხდა, მაგრამ ვლაშიჩმა, პეტკოვიჩმა და პერიშიჩმა ყველაფერი თავის ადგილზე დააყენეს – ხორვატია ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს.

ევროპირველობაზე თამაშის შანსი სლოვაკებსაც აქვთ, მაგრამ საამისოდ ბოლო ტურში უელსი-უნგრეთის მატჩის ფრედ დასრულება სჭირდებათ.

**აზერბაიჯანი-უელსი 0:2**

**ბაქო. ბაქსელ არენა**

0:1 მური (10), 0:2 უილსონი (34)

უელსმა სტუმრად აზერბაიჯანს 2:0 მოუგო, 11 ქულით მესამე ადგილზეა და მეორეადგილოსან უნგრეთს 1 ქულით ჩამორჩება, რომელსაც 19 ნოემბერს უმასპინძლებს და გამარჯვების შემთხვევაში ევრო 2020-ზე გავა.

მოგება უნგრელებსაც აწყობთ, ფრე სლოვაკების სასარგებლოდ ითამაშებს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ხორვატია | 8 | 5 | 2 | 1 | 17-7 | 17 |
| 2.უნგრეთი | 7 | 4 | 0 | 3 | 8-9 | 12 |
| 3.უელსი | 7 | 3 | 2 | 2 | 8-6 | 11 |
| 4.სლოვაკეთი | 7 | 3 | 1 | 3 | 11-11 | 10 |
| 5.აზერბაიჯანი | 7 | 0 | 1 | 6 | 5-16 | 1 |

**ჯ ჯგუფი**

**ავსტრია-ჩრ.მაკედონია 2:1**

**ვენა. ერნსტ ჰაპელი**

1:0 ალაბა (7), 2:0 ლაინერი (48)

ავსტრიამ ჩრდილოეთ მაკედონია დაამარცხა და კონტინენტის პირველობის საგზური მოიპოვა. გამარჯვება არ გასჭირვებიათ – ალაბამ დასაწყისშივე გახსნა ანგარიში, ლაინერმა კი შესვენების შემდეგ მალევე გაიტანა და ყველაფერი ნათელი გახდა.

**სლოვენია-ლატვია 1:0**

**ლიუბლიანა. სტოზიცე**

1:0 ტარასოვსი (53სკ)

სლოვენია მინიმალურ შანსს ინარჩუნებდა, ამასთან, მარტო საკუთარ თავზე არ იყო დამოკიდებული. პლუს, მოგებაც გაუჭირდა – ერთადერთი გოლი ლატვიამ საკუთარ კარში გაიტანა.

**ისრაელი-პოლონეთი 1:2**

**იერუსალიმი. ტედი მალჩა**

0:1 კრიხოვიაკი (4), 0:2 პიონტეკი (54), 1:2 დაბური (88)

პოლონეთს ევროპირველობის საგზური მოპოვებული ჰქონდა და ისრაელს სტუმრად მაინც მოუგო.

**სატურნირო ცხრილი:**



| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პოლონეთი | 9 | 7 | 1 | 1 | 15-3 | 22 |
| 2.ავსტრია | 9 | 6 | 1 | 2 | 19-8 | 19 |
| 3.სლოვენია | 9 | 4 | 2 | 3 | 14-8 | 14 |
| 4.მაკედონია | 9 | 3 | 2 | 4 | 11-13 | 11 |
| 5.ისრაელი | 9 | 3 | 2 | 4 | 16-17 | 11 |
| 6.ლატვია | 9 | 0 | 0 | 9 | 2-28 | 0 |

**ი ჯგუფი**

**კვიპროსი-შოტლანდია 1:2**

**ნიქოზია. ნეო ჯსპ**

0:1 კრისტი (12), 1:1 ეფრემი (47), 1:2 მაკგინი (53)

სატურნირო თვალსაზრისით არაფრისმომცემ მატჩში შოტლანდიელებმა კრისტისა და მაკგინის გოლებით მოიგეს. მართალია, შუაში ეფრემმაც გაიტანა, მაგრამ ეს კვიპროსელებს არ ეყოთ.

**სან მარინო-ყაზახეთი 1:3**

**სარევალე. ოლიმპიკო**

0:1 ზაინუტდინოვი (6), 0:2 სიუიმბაევი (22), 0:3 შეტკინი (26), 1:3 ბერარდი (76)

სან მარინომ მიმდინარე ტურნირზე პირველი გოლი გაიტანა, საერთოდ კი 2017 წლის შემდეგ არ ჰქონდა გატანილი.

**რუსეთი-ბელგია 1:4**

**სანკტ-პეტერბურგი. გაზპრომ-არენა**

0:1 ტ.აზარი (19), 0:2, 0:3 ე.აზარი (33, 40), 0:4 ლუკაკუ (72), 1:4 ჯიქია (79)

ორივე გუნდი ევროპირველობაზე გასული იყო, მაგრამ ბელგიამ ჩინებული გაკვეთილი ჩაუტარა რუსებს, ხოლო ძმებმა აზარებმა არ დაიზარეს და რუსეთი ფეხბურთს აზიარეს.

სადღეისოდ, ევროპირველობის საგზური ბელგიამ, იტალიამ, რუსეთმა, პოლონეთმა, უკრაინამ, ესპანეთმა, საფრანგეთმა, თურქეთმა, ინგლისმა, ჩეხეთმა, შვედეთმა, ფინეთმა, გერმანიამ, ჰოლანდიამ, ხორვატიამ და ავსტრიამ მოიპოვეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბელგია | 9 | 9 | 0 | 0 | 34-2 | 27 |
| 2.რუსეთი | 9 | 7 | 0 | 2 | 28-8 | 21 |
| 3.შოტლანდია | 9 | 4 | 0 | 5 | 13-18 | 12 |
| 4.კვიპროსი | 9 | 3 | 1 | 5 | 14-14 | 10 |
| 5.ყაზახეთი | 9 | 3 | 1 | 5 | 12-14 | 10 |
| 6.სან მარინო | 9 | 0 | 0 | 9 | 1-46 | 0 |

*მოამზადა მიხეილ ყორღოლიანმა*

## შედეგები

**16 ნოემბერი**

**ფეხბურთი**

**ევრო-2020. შესარჩევი ეტაპი**

კვიპროსი-შოტლანდია ............... 1:2
აზერბაიჯანი-უელსი .................. 0:2
სლოვენია-ლატვია ..................... 1:0
რუსეთი-ბელგია ......................... 1:4
სან მარინო-ყაზახეთი ................. 1:3
ჩრ.ირლანდია-ნიდერლანდები ... 0:0
გერმანია-ბელარუსი ................... 4:0
ხორვატია-სლოვაკეთი ................ 3:1
ავსტრია-ჩრ.მაკედონია ............... 2:1
ისრაელი-პოლონეთი ................... 1:2

## სკანვორდი



1. ქაღალდის ფულის შეკვრა; 2. თოფის ნაწილი, სროლის დროს მხარზე მისაბჯენი; 3. მოკლელულიანი ქვემეხი; 4. ჭეშმარიტად! 5. ქრისტიანული დღესასწაული; 6 შეტევა, თავდასხმა; 7. იტალიის საფეხბურთო კლუბი; 8. სამეტყველო ორგანო; 9. ხელით გასაწევი კლავიშებიანი საკრავი; 10. ძველებური საომარი იარაღი; 11. ... მორჩილაძე; 12. ქაღალდის ფული; 13. მოკლე ანეკდოტი ანტიკურ რიტორიკაში; 14. თურქეთის ქალაქ ანთაქიის ძველი სახელწოდება; 15. პატარა ფანჯარა; 16. მარწყვი, ჟოლო, მაყვალი; 17. იუპიტერის თანამგზავრი; 18. ზომიერი ტემპი მუსიკაში; 19. იტალიური ავტომარკა; 20. ბერძნული ანბანის ასო; 21. ქართული კერძი; 22. რაიმე დამსახურების აღსანიშნავი საბუთი; 23. მწერალი ივლინ ...; 24. ქალაქი საფრანგეთში; 25. ქართული ტელეარხი; 26. რომანის, მოთხრობის „ჩონჩხი“; 27. სილვესტერ სტალონეს მეტსახელი; 28. ბილიარდის ჯოხი; 29. ქვევრის მსგავსი ჭურჭელი; 30. გაზაფხულის ყვავილი; 31. იუპიტერი ძველქართულად.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:**

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. სფინქსი; 2. კუპაჟი; 3. ხმელნიცკი; 4. აფრიკა; 5. სიმპათია; 7. ხოკუ; 11. გუანაკო; 13. სულგუნი; 15. სამოა; 16. ძიუდო; 18. აპაში; 19. ბენცი.

**თარაზულად:**6. ფრახტი; 8. ბულიმია; 9. ქარაგმა; 10. ქირურგი; 12. დირსი; 14. კახეთი; 17. კალმასობა; 21. პომპეო; 22. შვეცია; 23. სოლიტერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. საგურამო; 2. ოჯალეში; 3. ალეპო; 4. ხურჯინი; 5. ბაიდარა; 10. სალივანი; 11. კახიაშვილი; 12. ღვეზელი; 15. ბარანდოვი; 16. მაიამი; 17. მარაბდა; 20. ცეისი.

**თარაზულად:** 6. სარაჯიშვილი; 7. ქულბაქი; 8. ექოლოტი; 9. ჰაშიში; 13. რადა; 14. მართვე; 18. უზუფრუქტი; 19. ჩანგი; 21. ბეილი; 22. ვინილი; 23. მანდარინი; 24. გრინფისი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


18 ნოემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9723

ევრო — 3.2779

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.8265

100 რუსული რუბლი — 4.6531

## ამინდის პროგნოზი 18 ნოემბერი




## ბითაძე მოედანს დაუბრუნდა და დრო შეუმცირდა



ტრავმით გამოწვეული 3-მატჩიანი იძულებითი პაუზის შემდეგ მოედანს დაუბრუნდა ინდიანა პეისერსის ქართველი ახალბედა გოგა ბითაძე. ვაშინგტონთან მოგებულ მატჩში 20 წლის ქართველმა მსუბუქი ტვინის შერყევა მიიღო და მოედანზე „ჰიუსტონთან" შეხვედრაში გავიდა. ტეხასში გამართულ და 102:111 წაგებულ მატჩში ბითაძემ 18 წუთი ითამაშა და საკმაოდ სარგებლიანიც იყო. გოგას საბოლოო მონაგარი კი 6 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი და 1 ბლოკშოტი გახლდათ. ქართველმა კალათბურთელმა 3-დან 2 ორქულიანი და 2-ვე საჯარიმო ჩააგდო.

ინდიანამ უქმეებზე მე-2 მატჩის ჩატარებაც მოასწრო და შინაურ არენაზე აღმოსავლეთ კონფერენციის ერთ-ერთ ლიდერ მილუოკი ბაქსთან 83:102 დამარცხდა.

ბითაძემ მოედანზე 12 წუთი გაატარა და მის აქტივში 7 ქულა და 1 მოხსნა იყო. ქართველმა ლეგიონერმა 3-დან 2 ორქულიანი და 2-დან 1 სამქულიანი ჩააგდო.

პეისერსს 7 მოგება და 6 მარცხი მოუგროვდა და აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-6 ადგილზე იმყოფება, მომდევნო მატჩს კი 19 ნოემბრის დილას, თბილისის დროით 04:30 საათიდან, სტუმრად, ბრუკლინ ნეტსთან გამართავს.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

## მოდელმა მოულოდნელად აბაზანაში იმშობიარა



ავსტრალიის ქალაქ მელბურნის მკვიდრმა მოდელმა მანამდე ვერ გაიგო, რომ ფეხმძიმედ იყო, სანამ გოგონა არ გააჩინა.

23 წლის ერინ ლენგმეიდს ფეხმძიმედ ყოფნის რამე ნიშანი არ შეუმჩნევია. მას არ ჰქონია არანარი ცუდი თვითშეგრძნება, არ გამოჰბერვია მუცელი, იცვამდა ყველა იმ ჩასაცმელს, რომლებსაც ჩვეულებრივ ხმარობდა. ის მთელ დღეს მუშაობდა და ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებას იღებდა.

ნოემბრის დასაწყისში გოგონა სააბაზანოში შევიდა. მისმა პარტნიორმა დენ კარტიმ ყვირილი გაიგონა და იმის სანახავად შეირბინა, თუ რა ხდებოდა. აღმოჩნდა, რომ მოდელმა იმშობიარა და 3,6 კილოგრამი გოგონა გააჩინა. ბავშვს აილა დაარქვეს.

გაჩენის შემდეგ გოგონა არ სუნთქავდა და გალურჯება დაიწყო. კარტიმ ექსტრემალური სამსახური გამოიძახა, რომელმაც ახლად დაბადებული ბავშვი გადაარჩინა.

ლენგმეიდის აღიარებით, მოულოდნელი მშობიარობა მის ცხოვრებაში ყველაზე დიდი შოკი აღმოჩნდა.

ექიმების განმარტებით, მოდელს დაფარული ფეხმძიმობა ჰქონდა – სიტუაცია, რომლის დროსაც ქალმა იმ დრომდე არ იცის, რომ ის ფეხმძიმედაა, ვიდრე არ იმშობიარებს. ასეთი რამ 2,5 ათასიდან ერთხელ ხდება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 18 ნოემბრისათვის



**ვერძი** – შემოქმედებითი პროფესიის ადამიანებს ფორტუნა გიღიმით. ასევე წარმატებული დღეა საბიუჯეტო სფეროს მუშაკებისთვის. ინტუიციას ნუ მიენდობით, რეალობის აღქმა შეინარჩუნეთ. **კურო** – ოჯახში ჰარმონია და სიყვარული თქვენს ფინანსურ მდგომარეობაზეც აისახება. მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას გონივრულად მიიღებთ. **ტყუპები** – მოზღვავებული ენერგია საშუალებას მოგცემთ, გრძელვადიანი გეგმების განხორციელებას თამამად შეუდგეთ. ოღონდ ნუ გარისკავთ, რათა მოტყუებული არ დარჩეთ. **კირჩხიბი** – კონფლიქტური სიტუაციების ალბათობა საკმაოდ მაღალია. ერიდეთ საქმის გარჩევებს ხელმძღვანელობასთან და კოლეგებთან. **ლომი** – მშვენიერი პერიოდია უკვე დამთავრებული საქმეების გასაანალიზებლად, ახალი გეგმების შესამუშავებლად. თქვენი მომხიბვლელობის წყალობით ახალ მოკავშირეებს იოლად შეიძენთ. **ქალწული** – ოპტიმიზმი და სიცოცხლის სიყვარული წარმატებას მოგიტანთ პროფესიულ საქმიანობაში. ემოციებს არ აჰყვეთ. მშვიდად იმუშავეთ. **სასწორი** – აქტიური და შემოქმედებითი დღეა. მიზანი დაისახეთ და მის განხორციელებას შეუდექით, ოღონდ თავს ნუ დაკარგავთ. გრძნობები აკონტროლეთ. **ღრიანკალი** – კეთილისმყოფელი დღეა. სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. იმედითა და რწმენით სავსე ხართ. დღევანდელი დღის მოვლენები თქვენს მომავალზეც იმოქმედებს. **მშვილდოსანი** – ეს დღე განსაკუთრებით იღბლიანია ქალებისთვის. გარშემომყოფები თქვენ მიმართ სიმპათიით არიან განწყობილი. ყველაფერი საკმაოდ იოლად გამოგდით. **თხის რქა** – ცოტა დეპრესიული განწყობა გაქვთ. შესაძლოა საქმიანობის სფეროს შეცვლა მოგიხდეთ. იმპულსურობა და ემოციურობა ცუდ სამსახურს გაგიწევთ. **მერწყული** – კარგი დღეა ხელმძღვანელ პირებთან ურთიერთობისათვის. ეცადეთ, მხოლოდ ცივი გონებით იმოქმედოთ. თუ კარგად იმუშავებთ, შრომა დაგიფასდებათ. **თევზები** – მთლიანობაში კეთილისმყოფელი დღეა. ერიდეთ ეგოისტ და საკუთარ თავზე შეყვარებულ ადამიანებს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

●●●

ცოლი ქმარს კურორტზე აცილებს და ეუბნება:

– ძვირფასო, გთხოვ, ფულს ნუ დახარჯავ ისეთ რამეებზე, რაც სახლში უფასოდ გაქვს.

●●●

რაიონიდან ჩამოსული ქალაქის ქუჩაში გამვლელს აჩერებს და ეკითხება:

– ხომ ვერ მეტყვით, საავადმყოფოში როგორ მოვხვდები?

– ეს ისეთი რთული ასახსნელია, მაგრამ, მოდით, ამ აგურს ჩაგარტყამთ თავში და სასწრაფო თავად მიგიყვანთ საავადმყოფოში...

●●●

საქორწინო ცერემონია:

– თანახმა ხართ, ცოლად შეირთოთ ეს ქალი?

– არა.

– და ის?

●●●

გინეკოლოგმა ქალს სპირალი ჩაუყენა. ქალი ადგა, ჩაიცვა და ეკითხება:

– ექიმო, და კალგონი როდის უნდა დავლიო?

– რომელი კალგონი? – ეკითხება გაოცებული ექიმი.

– სპირალს ნადები რომ არ გაუჩნდეს.

●●●

კაცმა ქალის წინ ცალ მუხლზე დაიჩოქა და ეუბნება:

– ძვირფასო, გამომყევი ცოლად:

– აშოტ, ფეხზე ადექით და ნუ აფუჭებთ ჩვენ ახალ შარვალს!

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, მღალატობ?

– საიდან მოიტანე, ძვირფასო?

– შენ გარშემო სულ მუდამ ჭკვიანი და ლამაზი ქალები ტრიალებენ.

– მე ჭკვიანი და ლამაზი ქალები არ მჭირდება, მე შენ მჭირდები.

●●●

ექიმი მამაკაცს ეკითხება:

– რეჟიმს იცავთ?

– არა, მე ის დავამხე!

●●●

ახალგაზრდა ქალი პარკში სკამზე მოკალათდა. ამ დროს მასთან მამაკაცი მივიდა ბოთლით ხელში და ეკითხება:

– გოგონა, შეიძლება, რამით გაგიმასპინძლდეთ?

– როგორ ბედავთ, მე ვიღაც ქუჩის ქალი კი არ ვარ!

– მაშინ, ჩემს საწოლში რას აკეთებთ?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ალექსანდრე ზაზარაშვილი მსოფლიოს მასშტაბით საუკეთესო მომღერლად დასახელდა



უკრაინული საბავშვო ვოისის გამარჯვებული ქართველი მომღერალი ალექსანდრე ზაზარაშვილი მსოფლიოს მასშტაბით „საბავშვო ვოისის" ისტორიაში საუკეთესო და ნომერ პირველ მომღერლად დასახელდა.

„საბავშვო ვოისის" ავტორებმა მისი არსებობის ისტორიაში საუკეთესო ბიჭი მომღერლების ტოპხუთეული შეადგინეს. მისი უპირობო ლიდერი ალექსანდრე ზაზარაშვილი და საქართველო გახდა, მეორე ადგილზე გერმანია გავიდა, მესამეზე – კოლუმბია, მეოთხეზე – ბელგია, მეხუთეზე კი – ნიდერლანდები.

## ბესო ზანგური: „მოუმატეთ ხელფასები მსახიობებს!"



მოითხოვს რუსთაველის თეატრის მსახიობი ბესო ზანგური.

– რუსთაველის თეატრს ბოლოს ხელფასი, იცით, ვინ მოუმატა? ნიკა რურუამ! თითი, ხელი კი არა, თითი არ გაგინძრევიათ კულტურაში. ხმას ნუ იღებთ საერთოდ. მეტი საქმე არ მაქვს, ავტომატი ავიღო და ქუჩაში გავიდე 30 მილიონერის დასაცავად. გამოფხიზლდით, დარეკეთ, დაასაქმეთ, მიდექით-მოდექით, გაიღეთ შტატი, სისხლის გაღებას ხომ არ გთხოვთ, რაც შეგიძლიათ, იმას გთხოვთ.

მოუმატეთ ხელფასები მსახიობებს! ნუ წუწუნებთ თითიდან გამოწოვილი პრობლემებით! მოუმატეთ, ნუ შეჭამეთ მართლა და მართლა გული უკვე.

## დუტა სხირტლაძის ბავშვებთან შეხვედრა ჩაიშალა



მსახიობ დუტა სხირტლაძის შეხვედრა ბავშვებთან, რომელიც „ბიბლუსში" უნდა გამართულიყო, ჩაიშალა.

– უნდა მქონოდა პატარა ბავშვებთან შეხვედრა „ბიბლუსში", მაგრამ არ შედგა. ყველამ, ვინც მოვიდა, ძალიან გთხოვთ, პასუხი მოსთხოვოთ ორგანიზატორებს, რომლებმაც თქვენი მოწვევა მოახერხეს და ჩემი დაკვალიანება დროზე და ადგილზე – ვერა. ბავშვებთან მაინც მე ვიხდი ბოდიშს. თუმცა ორი დღე ამაოდ ველოდი ინფორმაციას, რომელ საათზე და რომელ „ბიბლუსში" უნდა მივსულიყავი.

ძალიან ნაწყენი და გაბრაზებული ვარ! ძალიან!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ექიმმა მოზარდის ცხვირიდან ცოცხალი თევზი გამოიყვანა



ინდოეთის სამხრეთ ნაწილში ექიმმა 13 წლის მოზარდის ცხვირის ნესტოდან ცოცხალი თევზი გამოიყვანა. შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

მოზარდი სახლის მახლობლად მდინარეში ბანაობდა, როდესაც მას ცხვირის ნესტოში შეუმჩნევლად თევზი შეუცურდა.

ამის შემდეგ მშობლებმა ბიჭი ძლიერი ტკივილების ჩივილით ექიმთან მიიყვანეს. ექიმებმა მოზარდი გასინჯეს და მათ ცხვირის ნესტოში თევზი აღმოაჩინეს. ის ცოცხალი იყო და ფართხალებდა.

ექიმმა თევზი ბიჭის ცხვირის ნესტოდან, რომლის თავსაც რამდენიმე ადამიანი აკავებდა, პინცეტის დახმარებით გამოიყვანა. მთელ ამ პროცედურას 30 წუთი დასჭირდა.

## ლეოპარდმა ექვსი წლის ბავშვი დაგლიჯა



ინდოეთის უტარაკხანდის შტატში ლეოპარდმა ექვსი წლის ბავშვი მოკლა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ლეოპარდი ექვსი წლის ბიჭს იმ დროს დაესხა თავს, როდესაც ის სოფელ ბირგოლიში საკუთარი სახლის მახლობლად თამაშობდა. ბავშვის გადარჩენა მისმა მეგობრებმა და სხვა თანასოფლელებმა ცადეს. მათ მტაცებელი აიძულეს, ნადავლი დაეტოვებინა და თავი ტყისთვის შეეფარებინა, თუმცა ბავშვის გადარჩენა ველარ შეძლეს. ის დაიღუპა.

ადგილობრივები ფიქრობენ, რომ მომხდარში დამნაშავე ადგილობრივი ხელისუფლება და სატყეო მეურნეობაა.

– ლეოპარდების გამო მუდმივ შიშში გვიწევს ცხოვრება, – აცხადებს პუშკარ სინგხ კხატი, რომელიც ადრე სოფლის თავმჯდომარედ იყო არჩეული, – ის დროგამოშვებით თავს ესხმიან ჩვენს ბავშვებსა და შინაურ საქონელს. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ეს ლეოპარდი კაციჭამიად გამოაცხადონ და დაუყოვნებლივ მოკლან. თუ სატყეო მეურნეობა ამას ვერ აკეთებს, მაშინ ამის უფლება ადგილობრივებს უნდა მისცენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი




**თარაზულად:** 1. ქაშაყისებრთა ოჯახის თევზი; 3. გუნდის ხელმძღვანელი ძველბერძნულ ტრაგედიაში; 8. დიდი, კაშკაშა მეტეორი; 10. იაპონური ავტომობილი; 11. ფეხის ფეხში გამოდება ჭიდაობაში; 12. გულის მოქმედების ფაზა – შეკუმშვა; 14. მოქალაქეობის ჩამორთმევა ძველ საბერძნეთში; 15. საქონლის პერიოდული ჭარბწარმოების შედეგი; 16. მშვილდით სატყორცნი ჯოხი; 19. მკითხავი; 20. დასავლეთ ევროპის უდიდესი საკურორტო ზონა; 21. თმის სუროგატი.

**შვეულად:** 1. ზედა შვერილი გამოქვაბულში; 2. ქართველთა დასახლება საფრანგეთში; 3. ლამპარი (ძვ.); 4. ამერიკული ავტომარკა; 5. მცენარეთა თესლის გავრცელება ცხოველების მიერ; 6. იტალიური ფიჭვი; 7. ნამუსი; 9. უდაბნოს მშრალი, ცხელი ქარი; 13. ზღვაში შეჭრილი ნაგებობა გემების მისადგომად; 17. კავკასიის მთიელთა სოფელი; 18. თევზის წვნიანი კერძი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*